№ 277 შაბათი, 12 დეკემბერი 1909 წ. № 277

# დროება

**ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდამ შუადღის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ. გაზეთი

**მომავალ 1910 წელს გაზეთი „დროება" გამოვა**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა

## დროება

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

**იმავე პროგრამით, როგორც 1909 წ. გამოდიოდა**

1910 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

◄ დამატება გამოვა კვირაობით. ►

**გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ 8 მან. და 50 კაპ.; ნახევარი წლით 4 მ. და 80 კაპ.; ერთი თვით 80 კაპ. (1 მანეთის მაგიერ).**

**თ ვ ი უ რ ი ფ ა ს ე ბ ი:**

| | წლით | 11 თვით. | 10 თვით. | 9 თვით. | 8 თვით. | 7 თვით. | 6 თვით. | 5 თვით. | 4 თვით | 3 თვით. | 2 თვით. | 1 თვით. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთში, როგორც ტფილისში ისე ტფილისს გარედ | 8 მ. 50 კ. | 8 მ. — | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 90 კ. | 6 მ. 20 კ. | 5 მ. 50 კ. | 4 მ. 80 კ. | 4 მ. — | 3 მ. 20 კ. | 2 მ. 40 კ. | 1 მ. 60 კ. | — 80 კ. |
| საზღვარ-გარედ | 12 მ. — | 11 მ. — | 10 მ. — | 9 მ. — | 8 მ. — | 7 მ. — | 6 მ. — | 5 მ. — | 4 მ. 50 კ. | 3 მ. 50 კ. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად. დამატებიანი ნომერი (კვირისა) შვიდ კაპეიკად.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კ.**

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ **კ ე დ ლ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი**, კვირეულის ფურცლებით.

**ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან. ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან. ჭიათურაში—სოფრომ ტარუაშვილთან.**

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზანონ ამ ადრესით:
Тифлисъ, газет. „Д р о э б а".

---

კვირას, 13 დეკემბერს, ქ. ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში (ძველ სობოროში) გადახდილი იქნება წლის წირვა განსვენებულ მასწავლებლის

### ანდრია სიმონის ძე ბენაშვილის

სულის მოსახ ენებლად, რასაც განსვენებულის ძმისწული **ბაბო ბენაშვილი** აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს. (2—კვ.—1)

12 დეკემბერს, დილის 10 საათზე, კუკიის სასაფლაოზე წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მედიცინის დოქტორის

### სოლომონ იოსების ძის მრევლიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ძმა მისი დეკანოზი **იოანე იოსების ძე მრევლიშვილი** თავის ძმისწულებით და დისწულებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. (1—1000—1)

უბედური მშობლები **ლისადა ალექსანდრე**, გულდამწვარი ძმები **გიორგი** და **მიშა**, რძალი **სოფიო** ძმისწული **საშურა**, ბიძა და ბიცოლა **ბეჟან** და **პელაგია**, ბიძაშვილები **იასონ** და **კოწია საბახტაშვილები**, ბიძა და ნათლია **სილოვან** და **ზინა ებრალიძენი**, დეიდები **ანნა ხოშოლავასი** და და **ფედოსია ტორაძისა** გულმწუხარეთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულ გარდაცვალებას დაუვიწყარის ძვირფასის

### ელუშა საბახტარაშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის ხუთ საათზე, დასაფლავება დანიშნულია 13 დეკ., კვირას შუადღის 3 საათზე, ქ. ფოთში. (3—6.2)

## ქ უ თ ა ი ს შ ი

შაბათს, 12 დეკემბერს, **წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების** სასარგებლოდ ქალაქის თეატრში გაიმართება

## საღამო

## სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილებით

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ტფ. ოპერის არტისტი ქალი ქ-ნი შულგინა და ადგილობრივი სამუსიკო და სალიტერატურო ძალები.

(1—1) საღამოს გამგე **სოფიო კოკოჩაშვილისა.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლეში 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—6.—61).

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ 2—2½ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური **და** ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—228)

## გლეხი-კაცის ისტორია

◄ **მიიღება ხელის მოწერა გლეხი კაცის ისტორიაზე** ►

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა**. სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი"-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების" და „მომავლის" ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—7)

## გამგეობა

## ტფილისის სათავად-აზნაურო სა-ადგილ-მამულო ბანკისა

აუწყებს ბ-ნთ მსესხებელთ, რომელთა უძრავი ქონებანიც დანიშნულია საჯარო ვაჭრობისათვის, რომ ვაჭრობის დღეებში იმათგან არ მიიღება არავითარი თხოვნა შეღავათის შესახებ. (3—6.—3)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გურა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—128)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიძის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—318)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—80)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით, ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—124)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი **მ. ტ. ბალანჩივაძისა.**

ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—6.—20)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—12)

**ექიმი ვასილ წერეთელი**

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—70)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ქუთხე). (100—ზალ.—83)

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: აგჭალის ქუჩა, N 34. (25—6.—2!

**ექიმი კაკიტელაშვილი**

**ქუთაისში.**

იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—6.—2)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—65)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—69)

**წ.-კ. საზოგადოების გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ კვირას, 13-ს დეკემბერს, სამეურნეო ბანკში დანიშნულია

## საზოგადო კრების

გაგრძელება

**განსახილველი საგნები:**

1. 1908 წ. ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.
4. მიღება საზოგადოების ახალი წევრებისა.

კრება დაიწყება 11 საათზე. (3—2)

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. სააგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—50)

**სახალხო უნივერსიტეტი**

**ზუბალაშვილების სახალხო სახლი.**

კვირას, 13 დეკემბერს ექიმი **ე. გ. ფედოროვი** წაიკითხავს ლექციას

## „დალტონიზმის ფიზიოლოგია"

ლექციას დაიწყება შუადღის 12 საათზედ. ბილეთების ფასი 5—10 კაპეიკი. (1—1)

**ინტელიგენტის ოჯახი** ელისაბედის ქუჩაზე, № 69, კარგს სადგომში, **მიიღებენ ორს მოწაფეს იაფად.** ოთახი ნათელი და დიდია (შესავალ კარების მარჯვენა ზედა კარი). (5—2)

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**შეკითხვები.**

ცხრა დეკემბრის სხდომის ბოლო მხოლოდ ეხლა გადმოგვცა დეპეშამ. ამ საღამოთი შეკითხვები განუხილავთ. უკვე მოვიყვანეთ შეკითხვა პოლიციის უკანონო მოქმედებაზე კოტელნიკისა და იარანის მაზრებში. დეპუტატმა ასტრახანცევმა მრავალი საბუთი მოიყვანა იმისა, თუ პოლიცია როგორ აწიოკებდი და იკლებდა გლეხებს ამ მაზრებში. შეკითხვა მიიღეს. წინააღმდეგნი იყვნენ მემარჯვენენი.

მემარჯვენეებმაც შეიტანეს შეკითხვა სამხედრო მინისტრის მიმართ. ეს შეკითხვა ეხება დონის ოლქის ყაზახებს. ამ ყაზახებსაო, ნათქვამია შეკითხვაში, ეხლა იმაზე ნაკლები მიწა აქვთ, რაც 1869 წლის 21 აპრილის უმაღლესს ბრძანებით უნდა ჰქონდეთო. ამ ბრძანების ძალით, ყაზახის თითო ოჯახს უნდა ჰქონდეს ოცი დესეტინაო. მას აქეთ მიწა შეუმცირდათო. შეკითხვა ერთხმად მიიღეს.

სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს შეკითხვა იმ პროვოკაციის შესახებ, რომელიც მომხდარა დონეც-იურიევის სამეტალურგო ქარხანაში. საიდუმლო პოლიციის აგენტებს ასაფეთქებელი ნივთიერებანი მიუტანია მუშათა პროფესიონალურ საზოგადოების გამგეობის წევრის ტოკარევის ბინაზე, როცა ეს კაცი შინ არ ყოფილა, და იქ დაუტოვებია. შემდეგ მისულა პოლიცია, რომელსაც ყველაფერი სცოდნია, გაუჩხრეკია, ყუმბარები, რასაკვირველია, უპოვნია და სამართალში მიუცია ტოკარევი და მეორე კაცი, რომელიც ჩხრეკის დროს ტოკარევთან დაუპატიმრებიათ. სასამხედრო სასამართლოს ამ მეორე კაცისთვის ექვსი წლის კატორგა მიუსაჯნია, მაგრამ ამასთან სამხედრო სასამართლოს ეკატერინოსლავში გამოურკვევია, რომ ამ საქმეში საიდუმლო პოლიციის აგენტს ნამდვილი პროვოკაცია ჩაუდენია. სათათბირომ ეს შეკითხვა კომისიას გადასცა და ორი კვირის ვადა მისცა.

დასასრულ, სათათბირომ მოისმინა კადეტების შეკითხვა. მკითხველებს ეხსომებათ ამას წინად ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი ერთი დეპეშა. პეტერბურგში, ასტრახანის ქუჩაზე, ერთ სახლში აფეთქებულა ჯოჯოხეთის მანქანა. როცა მისულან, უნახავთ მოკლული პეტერბურგის „ოხრანნი" განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი კარპოვი. შეკითხვა აი სწორედ ამ ამბავს შეეხებოდა. როგორც შეკითხვის ერთი ავტორის, მილიუკოვის ნალაპარაკევიდან სჩანს, კადეტები ამ საქმეში პროვოკაციასა ჰხედავენ. ვითომ კარპოვი აპირებდა ტერორისტულ აქტის მოხდენას, სხვის ხელით რასაკვირველია, და მერე სხვების ჩაბმას. მილიუკოვმა გაიხსენა აზეფი, ლანდეზენი და მათი „საქმენი საგმირონი".

მილიუკოვის სიტყვამ სულ ცეცხლი წაუკიდა მემარჯვენეებს. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მთავრობის წარმომადგენელმა, პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორმა განაცხადა, რომ კარპოვს პროვოკაცია არ ჩაუდენია, რომ იგი მეფისა და სამშობლოს ერთგული კაცი იყო და ამ ერთგულების მსხვერპლი შეიქმნაო. პროკურორის განმარტებით, ვიღაც ვოსკრესენსკიმ შეიტყუა კარპოვი, ვითომ რაღაც საიდუმლოების გადასაცემად, მერე ააფეთქა ჯოჯოხეთის მანქანა და მოჰკლა იგიო.

გრაფმა ბობრინსკი მეორემ ლანძღვა-გინებით აიკლო კადეტები. თუმცა მილიუკოვმა განაცხადა, რომ მთავრობის წარმომადგენლის განმარტების შემდეგ შეკითხვის ინიციატორთა პირდაპირი მიზანი დაკმაყოფილებულ იქმნაო, მაგრამ მემარჯვენენი მაინც თავისას გაიძახოდნენ—კადეტებმა ცუდის განზრახვით შეიტანეს ეს შეკითხვაო. შეკითხვა კომისიაში გადასცეს.

სათათბიროს ეს სხდომა, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, მოხდა 9 დეკემბერს. 10 დეკემბერს სათათბიროს კომისიას დაუდგენია, უარ-ჰყოს კადეტების შეკითხვა.

# დეპეშები

პეტერბ. დეპ. შ-თა სააგენტოსაგან

11 დეკემბერი.

## საზღვარ-გარედ

**ბომბეი.** 8 დეკემბერს, საღამოთი, ნაზიკში წარმოდგენის დროს მოჰკლეს ოლქის უფროსი, მოსამართლე ჯაკსონი. ჯაკსონმა ამ დღეებში გაარჩია ერთი ინდოელის საქმე და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ჰფიქრობენ, რომ მკვლელობას კავშირი აქვს ამ საქმესთან.

**ლისსაბონი.** შესდგა ახალი სამინისტრო. სამინისტროში სულ პროგრესისტები შევიდნენ. სამინისტროში შედიან: მინისტრ-პრეზიდენტი—ბეირაო, გარეშე საქმეთა—დელვილლაკა და შინაგან საქმეთა—დიას კოსტა. სამინისტრო 20 დეკემბერს გახსნის პარლამენტს და მალე ისევ დაითხოვს, რომ მოამზადოს კანონ-პროექტები არჩევნებისა და კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ.

**ბუხარესტი.** სასამართლოს მეორე სართულიდან გადმოვარდა ბოროტ-გამზრახველი, რომელმაც დასჭრა მინისტრ-პრეზიდენტი ბრატიანო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც მთავრობას ევალება ბალკანეთის სახელმწიფოებთან სავაჭრო დამოკიდებულება მოაწესრიგოს.

**ბრემენი.** შესსელის ახლო სამგზავრო მატარებელი საქონლის მატარებელს დაეჯახა. მოკვდა 2, მსუბუქად დაშავდა 3 კაცი.

**ბუდაპეშტი.** მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი ლუკაჩი დაინიშნა ჰუნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტად. ლუკაჩს დავალებული აქვს მოლაპარაკება გამართოს პოლიტიკურ პარტიებთან და ახალი სამინისტრო შეადგინოს.

### ჰაერში ფრენა.

**პარიზი.** ძმებმა ლესოდესმა სამხედრო სამინისტროს შეატყობინეს, უკვე შეუდექით სამხედრო დირიჟაბლის კეთებას და გაკეთებისთანავე სახელმწიფოს საკუთრებად გადავსცემთო. დირიჟაბლი ახალი სისტემისა იქნება.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** 8 დეკემბერს, საღამოს 11 საათსა და 4 წუთზე პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი კარპოვი ასტრახანის ქუჩაზედ ერთი სახლის გასაჩხრეკად წავიდა. სახლი დაქირავებული ჰქონდა ვინმე მიხეილ ვოსკრესენსკის. ვოსკრესენსკიმ რამდენიმე ხნის წინად დამცველ პოლიციას შეატყობინა რევოლიუციონურ ორგანიზაციის წევრებს გავსცემო. ვოსკრესენსკის თავის სახლში ჯოჯოხეთის მანქანა მოეწყო. პოლკოვნიკ კარპოვის შესვლისათანავე ჯოჯოხეთის მანქანა აფეთქდა. კარპოვი იქვე გარდაიცვალა.

**პერმი.** ქალაქის საბჭომ პოლიტეხნიკუმის გასახსნელად 200,000 მანეთი გადასდო.

**ასსაკი.** (ფერგანის ოლქი) ღამე ბოროტ-განმზრახველები თავს დაესხნენ სპარსეთის ამხანაგობის კანტორას. ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს მეარტელე, გაიტაცეს 6,000 მანეთი და მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** სენატმა გაარჩია ზავოდსკის და კრასნოკოლსკას საქმე. რამდენიმე ხნის წინეთ იაპონურ ენის ლექტორმა კურონომ და პანსევმა შეადგინეს რუსულ-იაპონური სიტყვების ლექსიკონი. ზავოდსკიმ და კრასნოკულსკიმ კურონოს და პანსევს ცილი დასწამეს, ლექსიკონი განგებ ყალბად არის შედგენილი, ლექსიკონით რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჩვენი ჯარი სარგებლობდა და შეცდომაში შედიოდაო. ეს საქმე თავდაპირველად გაარჩია სამოსამართლო პალატამ და ზავოდსკის 7 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა. სენატმა გააუქმა პალატის განაჩენი.

**იაროსლავი.** სასულიერო სემინარიის პირველ სამი კლასის მოწაფეებმა უარი განაცხადეს სწავლაზე. მათ სემინარიის მთავრობას პეტიცია წარუდგინეს, თხოულობენ საზოგადო განათლების საგნების სწავლის გაფართოვებას და უნივერსიტეტებში თავისუფლად შესვლას. სემინარიის საპედაგოგიო საბჭოს დადგენილებით სემინარიიდან დაითხოვეს 120 მოწაფე საბჭოს დადგენილება დაამტკიცა მთავარ ეპისკოპოსმა ტიხონმა.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი სვირსკისა, ზაკრჟევსკისა, გრაბოვსკისა და კოზაკოვიჩისა. ბრალდებოდათ სადგურ ბეზჯანასთან საფოსტო მატარებლის გაცარცვა, რისთვის სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა: სვირსკის და ზაკრჟევსკის სიკვდილით დასჯა, კოზაკოვიჩს 7 წლით და გრაბოვსკის 4 წლით კატორგა. სენატმა ძალაში დასტოვა განაჩენი გრაბოვსკის შესახებ, დანარჩენების საქმე ხელმეორედ გასარჩევად გადასცა.

**პეტერბურგი.** ტულის გუბერნიაში გაძლიერებული წესები გაუქმდა. ადგილობრივ გუბერნატორს 1910 წლის 4 სექტემბრამდის უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი.

## ხოლერა

**მოსკოვი.** დღე-ღამის განმავლობაში ავად გახდა 8 კაცი, არავინ გარდაცვლილა.

**ხერსონი.** 29 ნოემბრიდან 9 დეკემბრამდის ავად გახდა 7 კაცი, არავინ გარდაცვლილა.

**ასტრახანი.** ყირგიზის მინდვრებში, ასტრახანის გუბერნიაში, შავი ჭირი მოისპო.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სიკვდილით დასჯა.** როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ რამდენიმე კვირის წინად სამხედრო სასამართლომ ბაქოში გაარჩია სირაძისა და მაქლაქალიძეს საქმე. ჰბრალდებოდათ ლენქორანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გაცარცვა. სასამართლომ ორთავეს სიკვდილი გადაუწყვიტა. „კასპის" სიტყვით, 9 დეკემბერს, განაჩენისამებრ ორთავენი ჩამოუხრჩვიათ.

✦ **ქალაქების წარმომადგენლები.** გარდაცვალებულის დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დაკრძალვაზე დასასწრებლად გაჰგზავნეს წარმომადგენლები შემდეგმა ქალაქებმა: ბათომმა, ბაქომ, კავკავმა, ქუთაისმა, ფოთმა და ალექსანდროპოლმა. ხოლო ერევანმა, შუშამ, თემირ-ხან-შურამ, გორმა, დუშეთმა, სოხუმმა, სიღნაღმა, ახალციხემ და პეტროვსკიმ დაავალეს ზემოდ დასახელებულ ქალაქების წარმომადგენელთ მათი წარმომადგენელნიც იყვნენ.

✦ **სომეხთა კათალიკოსის წარმომადგენელი.** ჩამოვიდა ეპისკოპოსი მესროფი, რომელსაც სომეხთა კათალიკოსი ჰგზავნის დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დაკრძალვაზე დასასწრებლად. ეპისკოპოსი მესროფი დღეს გაემგზავრება პეტერბურგს.

✦ **ახლად ჯარში გაწვეულნი.** ქალაქ ტფილისის სამხედრო საკრებულოში ყოველ დღე 5—6 ჯარში ახლად გაწვეული ცხადდება გასაზომად და შესამოწმებლად. წელს საზოგადოდ საკრებულოში ჯარში გაწვეულების დიდი ნაწილი გამოცხადდა კენჭის ამოღების დროს ოქტომბერში. დანარჩენები ეხლა მიდიან.

✦ **ორი კაცის მოკვლა.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, სოფელ ზაბრატში (ბაქოს გუბერნია) თავიანთ კანტორაში უცნობებს მოუკლავთ ნავთის მრეწველები ძმები ბალა და სოფი ორუჯევესი. ექვით დაუპატიმრებიათ სამი კაცი, მათ შორის ორუჯევების ამხანაგი გულიევი.

✦ **ტუსაღის გაქცევა.** „ბაკუ"-ს სიტყვით, ტფ. სატუსაღოდან წაუყვანიათ ტუსაღი გალუსტოვი. გალუსტოვთან ერთად ყოფილა სატუსაღოს ერთი დარაჯი. გზაში გალუსტოვი ზედამხედველს გაჰქცევია.

# ჩვენი მწერლობის ისტორიიდან

## ბაირონიზმი ჩვენში.

ბაირონის პოეზიაზე, საზოგადოდ, და ჩვენს ბაირონისტ ნიკოლოზ ბარათაშვილზე, კერძოდ, ქართულ ლიტერატურაში ბევრი დაიწერა. მიუხედავად ამ გარემოებისა, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი წერილები ინტერესს მოკლებული არ იქმნება, ვინაიდან რაც უფრო მეტი აზრი გამოითქმება რომელსამე მწერალზე, მით უფრო გამოჩნდება როგორც მისი ორიგინალობა, ისე სხვების მაზე გავლენა. თუმცა ჩვენი სტატია მოკლეა, თითქმის სქემატიური, მაგრამ ჩვენ მაინც საპატიო ადგილი დავუთმეთ თვით ბაირონიზმის წარმოშობას და იმის შინაარსის არსებითად გარჩევას. ამავე დროს ბარათაშვილის პოეზია ამ შინაარსს დავუპირდაპირეთ, რომ უფრო ცხადად დაგვენახა მათი როგორც მსგავსება, ისე განსხვავებაც. გრძელ-გრძელ ციტატების მოყვანას ხსენებულ ორ მგოსნის ნაწერებიდან, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ჩვენ ვუფრთხოდით, რომ მკითხველებისთვის თავი არ მოგვებეზრებინა.

1.

ბაირონიზმის სამშობლოდ ინგლისი ითვლება, ხოლო მის შემქნელად—ლორდ ბაირონი. ამ მიმართულების ნიადაგი, მისი უარყოფის „სული" მაშინდელმა ცხოვრებამ მოამზადა, ხოლო მისი გამოაშკარავება, მისთვის განსაზღვრულ ფორმის მიცემა ბაირონს ჰხვდა წილად.

საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ხალხის იმედები გააქარწყლა; საყოველთაო თანასწორობის მაგივრად ბურჟუაზია გაბატონდა, თავისუფალ რესპუბლიკის ნაცვლად ძველი გვარეულობა გამეფდა. წარმოებაში მანუფაქტურა გაფართოვდა, ორთქლი და მანქანა შემოვიდა. გაჩნდა და გამრავლდა სხვა და სხვა გვარი ნაწარმოები. გაბატონებულ კლასმა თავ-დავიწყებით შესცურა სიტკბოების სამეფოში, ძველ გახრწნილებას დაუბრუნდა, ზნეობრივად ჩამოქვეითდა, სულიერად დამდაბლდა. დამონებული კლასი კიდევ უფრო შევიწროვდა, წვრილი მუშების და ნახევრად გაკოტრებულ ხელოსნების რიცხვი აუარებელი გახდა, პატრიალქალური დამოკიდებულობა დაირღვა, ოჯახურ-ნათესაობრივი კავშირი გაწყდა. როგორც ენგელსი მოწმობს, მუშათა კლასის ზოგა ნაწილი უვარგის პირობების გამო გარყვნილების გზას დაადგა...

საქმის მდგომარეობა ერთი-ორად უფრო გამწვავდა ინგლისში. ევროპის პოლიტიკურმა რეაქციამ ამ თავისუფალ სახელმწიფოსაც თავისი დაღი დაასვა. ეკონომიური კრიზისი მეტის-მეტად საგრძნობელი გახდა. სარწმუნოებრივი შეხედულობა და ზნეობა წმინდა „მეშჩანურ" სამოსელში გამოეხვია, და ცხოვრების სანატრელ გზად და ხიდათ ფარისევლობა გადაიქცა. თავის-თავად ცხადია, რომ კაცობრიობის შეგნებული ნაწილი პესიმიზმმა მოიცვა, მას იმედი და სასოება დაეკარგა, ცხოვრება ბინძური ალმოჩნდა, ქვეყნად ბედნიერების დამყარება იმ პირობებში ოცნებად დარჩა. თუ რევოლიუციის წინ აწმყოს ადიდებდნენ, წარსულს კრულავდნენ და მომავალს ოქროს ვარაყით აფერადებდნენ, რევოლიუციის შემდეგ დაჰგმეს აწმყო, შავი ზოლით შემოხაზეს მომავალი და იდეალის ძებნა წარსულში დაიწყეს. წინად ადიდებდნენ გონებას, როგორც წინმსვლელობის ძარღვს, ხოტბას ასხამდნენ ადამიანის ჰკუასა და ნიჭს, ვინაიდან მტკიცედ სჯეროდათ, რომ საზოგადოებრივი ინტელექტი კეთილის ნებით, ურთი-ერთეულის შეთანხმებით ცხოვრებას კალაპოტს გაუკეთებდა და მიწიერ სამოთხეს შეჰქმნიდა; ახლა, რაკი ცხოვრებამ თავისი გაიტანა, უარჰყვეს შეგნების ძალა, გული გაუცრუვდათ მის-მიერ მონაპოებ კულტურაზე. ყოველივე ამასთან, საზოგადოებრივი ორგანიზმი მოღალა ამდენ საუკუნის გონებრივმა მუშაობამ. წინ წამოაყენეს გრძნობა, გრძნობით ცხოვრება, ჩაუკვირდნენ ადამიანის შინაგან მხარეს, ინტერესი მისცეს მის გულის ცემას, მის სულის მოძრაობას.

ამ ტენდენციის განვითარებას ხელს უწყობდა რევოლიუციამდე შექმნილი მწერლობა. ისიც აწმყოს აძაგებდა—წარსულს შესტრფოდა, კულტურას უარჰყოფდა—ბუნებისადმი მიილტვოდა, საზოგადოებას ემდურებოდა—პიროვნებას პატივს სცემდა. მაშასადამე, როგორც ცხოვრება, ისე მწერლობა საუკეთესო მასალას იძლეოდა ისეთ მიმართულების შესაქმნელად, როგორსაც ბაირონიზმი წარმოადგენს. თვით გარეშე პირობებმა მოამზადეს უარყოფის იდეის და პესიმისტურ სულისგანწყობილების ნიადაგი. ჯერი მიდგა ადამიანზე, რომელიც ამ ობიექტიურ მდგომარეობის სუბიექტიური გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ეს ადამიანი გამოდგა, როგორც ზევითა ვსთქვით, ლორდი ბაირონი.

ბაირონში შთამომავლობით გადმოვიდა ბევრი სხვა და სხვა ერთი-მეორის საწინააღმდეგო თვისება. პირველად, იგი წარჩინებულთა კლასს ეკუთვნოდა, მაგრამ სახსარი კი არა ჰქონდა არისტოკრატიულად ცხოვრებისათვის. შემდეგ, ბაირონი გასაოცარის სილამაზის პატრონი იყო, მაგრამ იმის სილამაზეს სიკოჭლე ამახინჯებდა. ტემპერამენტით იგი იყო დაუდეგარი, მოუსვენარი, საქმის ბოლომდი არ დამყვანი, მაგრამ იმავე დროს დინჯი, შეურყეველი, შეუდრეკელი; ვნებათა-ღელვიანი, უზომოდ გატაცებული და მასთან ერთად ფრთხილი, გულ-გრილი, თავ შეკავებული. ჭკუა-გონების მხრით იგი დიდად ნიჭიერი ადამიანი იყო, მაგრამ იმავ დროს სრული გონიერებაც აკლდა. არა-ნორმალობაც ეჩნეოდა. ბუნებით სკეპტიკი იყო და ყოველ მოვლენას ეჭვის თვალით უყურებდა, ხოლო ყოველსავე ამასთან დოგმატიკოსიც იყო, რადგან ბევრი ცრუ-მორწმუნეობა სჯეროდა და პარასკეობით, მაგალითად, რაიმე საქმის დაწყებისაც კი ეშინოდა. ზნეობრივ სფეროში—ერთი მხრით უხვი, კეთილი, მოსიყვარულე, და მეორე მხრით კი—უზნეო, ჭირვეული, ჟინიანი. სძაგდა, ეზიზღებოდა ინგლისის თანამედროვე საზოგადოება, მაგრამ ჩუმად იმავე საზოგადოების აზრი აინტერესებდა. ქალებზე ძალიან დაბალის აზრისა იყო, მაგრამ ყველაფერსა შვრებოდა, რომ მათ მოსწონებოდა. წოდებრივ-შთამომავლობითი პრივილეგიები სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა, ხოლო თავი კი ძალიან მოჰქონდა, რომ თითონ ლორდების წოდებას ეკუთვნოდა. ვიმეორებთ, ბაირონში საოცარის იშვიათობით იყო შეკავშირებული ერთი-მეორის სრულიად მოწინააღმდეგე მხარეები, რომლებიც მუდამ იბრძოდნენ და ეჯახებოდნენ ერთმანეთსა, ასე, რომ ბაირონი ბუნებით ნამდვილი, ორგანიული პროტესტანტი იყო.

ინგლისის ცხოვრებამ ბაირონში შრომის უნარი და მუყაითობა შეიმუშავა, ხოლო ფართოდ გაშლილმა ზღვამ მედგარი სული, დამოუკიდებელი ბუნება და თავისუფლებისადმი დაუშრეტელი სიყვარული აღზარდა მასში.

ასეთი იყო ბაირონი, როდესაც იგი ცხოვრებაში შევიდა.

ინგლისის საზოგადოებამ, მისმა გაბატონებულმა კლასმა ჯერ დიდების ტახტზე აიყვანა ბაირონი, მაგრამ ეს მხოლოდ გაუგებრობის ნაყოფი იყო. ბაირონის ბუნება ვერავითარ კომპრომისს, ვერავითარ შევიწროვებას ვერ ურიგდებოდა. მან მალე გაიცნო საზოგადოება, და უკანასკნელმაც მალე იგემა მისი გესლი და ნაღველი, რასაც შედეგად მოჰყვა ისტორიაში დაუვიწყარი შეტაკება პიროვნებასა და საზოგადოების შორის. თანამედროვე ცხოვრება აშმორებულ ჭაობს წარმოადგენდა და ქვემძრომებით იყო სავსე, ბაირონმა აყროლებული ატმოსფერას საწამლავი შეასხა და გველ-ბაყაყები ააყაყანა. ინგლისის მუშათა მდგომარეობა ძალზე უნუგეშო და უმწეო იყო. ბაირონმა, როგორც ლორდთა პალატის დეპუტატმა, მათ სასარგებლოდ ხმა აღამაღლა და არსებულ წეს-წყობილებით უკულმართობა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. ინგლისის საზოგადოება იმის ოჯახურ საქმეებში ჩაერია, იმის გულში ხელების ფათური დაიწყო, ხოლო მის სულში კალოშებით შებრძანება მოინდომა. ბაირონმა პიროვნების დამოუკიდებლობა წამოაყენა წინ, საზოგადოებას მის შეუფერებელ საქციელზე მიუთითა და საპატიო მანძილზე გააჩერა იგი. ინგლისის მთავრობა უსამართლოდ ეპყრობოდა ირლანდიის ერს, ალმაცერად უცქეროდა იტალიელ პატრიოტთა შევიწროვებას და სრულიად გულ-გრილად ბერძენთა განთავისუფლებელ მოძრაობას. ბაირონმა პიროვნების თავისუფლებიდან, როგორც ლოღიკური დასკვნა, ნაციონალური დამოუკიდებლობა გამოიყვანა, იტალიელთა მოძრაობაში აქტიურად ჩაერია, ხოლო ბერძენთა განმათავისუფლებელ საქმეს ბოლოს თავიც კი შესწირა. ამგვარ მდგომარეობის შედეგი ადვილი მისახვედრია: ერთი კაცი რას გააწყობდა. საზოგადოებამ არ აპატივა ბაირონს კადნიერი გალაშქრება გაბატონებულ კლასის წინააღმდეგ, ხოლო ბაირონი უკან დახევას შეჩვეული არ იყო. საზოგადოებამ ბოიკოტი გამოუცხადა და იძულებული გაჰხდა იგი სამშობლოს საზღვრებს გასცლოდა. სამაგიეროდ პოეტმა იგივე საზოგადოებას სამარცხვინო ბოძზე მიაკრა და ზიზღით და მძულვარებით აღბეჭდა მისი ხსენება განათლებულ კაცობრიობის წინაშე.

აი, ამ შეხლა-შეხეთქების დროს გაიფურჩქნა ბაირონის ზეგარდმო ნიჭი და ციური ალმაფრენა, ამ სახელოვან ბრძოლის დროს გამოიღო მისმა გენიოსობამ შეუდარებელი ნაყოფი. ბაირონის საზოგადოებასთან დამოკიდებულება ექიმ შტოკმანის ცხოვრებას მოგვაგონებს, იმ განსხვავებით მხოლოთ, რომ შტოკმანის უარყოფა კონკრეტიულია, განსაზღვრულ ფარგლებში სწარმოებს, ხოლო ბაირონის პროტესტი ფილოსოფიურ აბჯრით შეიმოსა, დროსა და სივრცეს გადასცდა და იქიდან დასძახა თავისი აბსოლიუტური veto მსოფლიოსა და კაცობრიობის განვითარებას.

ბაირონიზმის უმთავრესი მუხლები შემდეგში მდგომარეობს:

1. უარყოფა ყოველივე შევიწროებისა, სულ ერთია ვინც უნდა იყოს ამ შევიწროების საგანი—მთელი ერი, ერის ნაწილი—საზოგადოების დაბალი კლასი, თუ კერძო ერთეული;

2. პიროვნების გაღმერთება, მისი ინტერესების წინ წამოყენება;

3. პესიმისტური შეხედულება ჩვენის ცხოვრების მსვლელობაზე კერძოდ და მთელის ქვეყნიერობის ბრუნვა-ტრიალზე საზოგადოდ; ეგრედ წოდებული მსოფლიო გოდება, რომელიც მდგომარეობს ადამიანის მუდმივ ჩივილში კაცობრიობის დანიშნულების გამოურკვევლობაზე, საწუთროს ამაოებაზე, ბუნების უსამართლობაზე და სხვ.

ილუსტრაციების მოყვანას ქვემოდ ვეცდებით, როდესაც ბარათაშვილზე გვექნება საუბარი. **მ. ცეცხლაძე.**

(შემდეგი იქნება)

✦ **საბავშვო კითხვები**. დღეს, დილის $11^1/_2$ საათზე საექიმო საზოგადოების სადგომში, ალექსანდრეს ბაღთან, ქ-ნი ალნიაშვილი ბავშვებისათვის ქართულად წაიკითხავს „ზოლუშკას“, ხოლო 12 ს.-ზე ქ-ნი ლავა მოზრდილ თათვის წაიკითხავს „კაკო ყაჩაღს“.

✦ **ახალი ჟურნალი**. ი. იმედაშვილმა შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს გამოსცეს ქართულად სათეატრო-სამხატვრო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“.

✦ **ქალაქის შემოსავალ გასავალი**. გუშინწინ, 10 დეკემბერს, მოხდა კრება ტფ. ქალაქის გამგეობისა. განიხილეს მომავალი წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. მომავალ წელს ქალაქის ხარჯი ნავარაუდევია 2,122,763 მან. შემოსავალი სამასი ათას მანეთით ნაკლებია. ამ ნაირად, მომავალ წელს მოსალოდნელია 300 ათასი დეფიციტი.

✦ **დუქნის გაცარცვა**. „კასპი“ იუწყება: 8 დეკემბერს რამდენიმე ბოროტ-განზრახველი ბაქოში თავს დაეცა მუხტაროვის ქარხანასთან არსებულ დუქანს. ბოროტ-განმზრახველებს გაუტაცნიათ 4,000 მანეთი. პოლიციამ დააპატიმრა 4 კაცი.

✦ **ლექცია**. კვირას, 13 დეკემბერს, ბ. იაროშენკო ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიმეორებს თავის ლექციას: „ჰაერში ფრენის ევოლიუცია და მისი დღევანდელი მდგომარეობა.“

✦ **უპასპორტოები**. 10 დეკემბერს პოლიციის მეოთხე უბანში საერთო ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 19 უპასპორტო კაცი.

✦ **საფეიქრო სახელოსნოს დახურვა**. სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ ამ რამდენიმე თვის წინად გორში გახსნა საფეიქრო სახელოსნო. უსახსრობის გამო ეს სახელოსნო უკვე დაიხურა.

✦ **ახალი წიგნები**. რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1 კოოპერაცია. თეორია, ისტორია და პრაქტიკა: კ. პ. კანდელაკისა, გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა. ფასი 35 კაპ. 2 „აუტანია წერასა“, ლექსები ანტონ განჯალსკარელის-. ფ. ერთი შაური.

✦ **დეპეშა** წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ინგლისში გარდაცვალებულის მარჟორის უარდროპის ძმას ოლივერს: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრებმა, ღრმად შეწუხებულებმა თქვენის დის ქალბატონი მარჟორი უარდროპის გარდაცვალებით, დაგვავალეს საზოგადო წლიურკრებაზე გამოგიცხადოთ თქვენ მათი უგულწრფელესი სამძიმარი იმ ადამიანის დაკარგვის გამო, რომელიც იყო მეგობარი ქართველი ერისა“.

✦ 10 დეკემბერს, დილით გელდენის ქუჩაზე ერთ სახლის წინ იპოვნეს ბავშვი, მდედრობითი სქესისა. ბავშვი გადასცეს გარადოვოის ვასილ ბაიდაურს, რომელმაც სურვილი განაცხადა ბავშვის მიშვილებაზე.

✦ 9 დეკემბერს ვაჭრის ივანე ყარაჯევის ბუხჰალტერმა გიორგი მარტიროსოვმა გასტეხა ს ფულე ყუთი და ამოიღო 574 მან. 10 დეკემბერს მარტიროსოვი გამოცხადდა პოლიციაში და აღიარა, რომ ქურდობა ჩავიდინეო, ფულიც წარადგინა. ქურდი დააპატიმრეს.

● გუშინწინ ლუკა ხელაძემ განუცხადა პოლიციას, რომ 9 დეკემბერს სოფელ სოღანლუღიდან (ტფ. მაზრა) იმის სახლში ჩამოიყვანეს ძმა ბესო ხელაძე, რომელიც 10 დეკემბერს გარდაიცვალაო. სიკვდილის წინ ავადმყოფს განუცხადებია: ბაღზულში დამაპატიმრეს სოღანლუღში, მვი მიიტანეს ვერცხლეულის მოპარვაში. სტრაჟნიკებმა და ხუვებმა მალზე მცემესო. მას აქეთ დავაამტყოფდიო. ოქმი შეადგინეს და გადაცეს მაზრის უფროსს, ლო ბესო ხელაძის გვამი შესამოწმებლად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

● 10 დეკემბერს პოლიციამ დააპატიმრა ღუმეთის მაზრის ხოფ. ქსოვრისის მცხოვრები გაბრიელ დავითის ძე რატიშვილი, რომელიც ადმინისტრატიული წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნებულა. რატიშვილი მახეხის ბაშია მიცემული. ამავე დღეს დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე ვასილ. მამაცოვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატორიდან იყო გადასახლებული.

---

**შეცდომის გასწორება**. კიტა აბაშიძის ფელეტონში, რომელიც დაიბეჭდა „დროების“ მე-274 ნომერში, უკანასკნელ გვერდზე პირველ სვეტში დაბეჭდილია: „მოგეხსენებათ, კორნელი საფრანგეთის ტრაგედიის ჩამავალი მზე იყო იმ დროს, როცა როსინი ამომავლად იყო მიჩნეული“. სხვაგანაც როსინი არის ნახმარი. უნდა იყოს „რასინი“.

# მოწერილი ამბები

**თელავი**. 4 და 5 ქრისტეშობისთვე თელავის სამაზრო სამინისტრო სკოლის მასწავლებლებისათვის არა ჩვეულებრივი დღეები იყო. საქმე იმაშია, მკითხველო, რომ ამ დღეებში მეორე რაიონის სკოლების ინსპექტორმა ბ-მა პოკორნოვმა, სკოლების რევიზიის შემდეგ, შეჰკრიბა სოფლის მასწავლებლები ქალაქ თელავში და მათ თანადასწრებით ოთხს ამ თვეს თელავის სამოქალაქო სასწავლებელში მიაცემინა გაკვეთილები ამავე სასწავლებლის მასწავლებლებთ, რომლის შემდეგ სოფლის მასწავლებლებს ნება მიეცათ უოველ მხრივ გაერჩიათ მიცემული გაკვეთილები, თუ რამდენათ შეესაბამებოდა ეს გაკვეთილები პედაგოგიურ მოთხოვნილებებს. მეორე დღეს თელავშივე დასწყის სკოლაში: ბ-მა ინსპექტორმა მიაცემინა გაკვეთილები ქ-ნთ ჭავჭავაძისას და გულისაშვილისას. მასწავლებლებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს გაკვეთილების გარჩევაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ჩვენის აზრით, მასწავლებლებისათვის ამ გაკვეთილებს. ამისთანა რამ წელიწადში ორჯელ მაინც რომ იმართებოდეს, დიდად დასაწინაურებს. მასწავლებელთა მოქმედებას სკოლაში თუ არა ვცდებით, ეს პირველი მაგალითია ჩვენში, რომ ინსპექტორს შეეკრიბოს მასწავლებლები პედაგოგიურ მოსაზრებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ინსპექტორი დიდის თანაგრძნობით ისმენდა მასწავლებლების პირ-ვარამზე დაპარაკს. ცუდათ არ მოიქცევა სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვ. შავლიაშვილი, თუ მიჰბაძავს პოკორნოვის მაგალითს, რადგან მისი მასწავლებლები უფრო საჭიროებენ სასწავლო ხელოვნების შეგნება-შეთვისებას, ვიდრე სამინისტრო სკოლის მასწავლებლები.

ამას წინად თელავის საკრებულო დარბაზში არტისტ ჩხეიძის მიერ წარმოდგენილ იქმნა პიესა „ციმბირელი“ სცენის მოყვარეთა გარდა, მონაწილეობას იღებდნენ თვით ჩხეიძე და დათიკო გამყრელიძე—აწყურელი. წარმოდგენას არა უშავდა რა. თელავის სამკითხველოს გამგეობას მიუმართავს თხოვნით ბ-ნ ჩხეიძისათვის, წარმოდგენის შემოსავალი შესწირეს სამკითხველოს, რადგან იგი უკიდურეს დღეებს განიცდის. თხოვნა გამგეობისა ჩხეიძეს შეუწყნარებია და ათ თუმნამდის უკვე გადაუცია გამგეობისთვის, რისთვისაც არტისტი ჩხეიძე დიდი მადლობის ღირსია. მერელი.

---

**სოფ. მოხისი** (გორის მაზრა). ისედაც გაჭირებული გლეხ-კაცობა წრეგანდელმა მოუსავლობამ სულ მიწასთან გაასწორა. ამ გაჭირვებას კიდევ ზედ დაერთო ზოგიერთა მებატონის უდიერობა. რადგან აქაურ გლეხ-კაცს სამუშაო მამული არა აქვს, იგი სადადო მიწებს იღებს. საუბედუროდ, დალა დიდია და მოსავალი კი ცოტა. სადალო მიწებიდან წრეულს იმდენი არ მოვიდა, რომ დალა გაესტუმრებინა გლეხს. ზედ მეტი გაჭირება მიაყენეს მოიჯარადრეებმა. ასე გასინჯეთ, ერთსა და იმავე მამულში მათ გადაახდევინეს დალაც და საძალახეც. თითქმის ნახევარი სოფელი ახლავე უიდულობს სარჩოს. გლეხ-კაცის გასაყიდ საქონელს ფასი არა აქვს (მაგ. ხარს, ბზეს და სხვას). ხარჩები სარგებლობენ გლეხ-კაცის გაჭირვებით და უსულსაფერს ხალის ფასად უიდულობენ.

ასეთ გაჭირვების მიუხედავად, სწავლა-განათლებისთვის გლეხ-კაცი მაინც ფულს არ იშურებს. წინად აქ არსებობდა საეკლესიო სკოლა, არეულობის ხანაში იგი დაკეტეს. გლეხ-კაცების სურვილით და აქაურ მღვდლის ი. ხახუტაშვილის მეთაურობით წრეულს გახსნეს ორკლასიანი სამინისტრო სკოდა. ჯერ-ჯერობით პირველი განყოფილება გახსნეს და 120 მთხოვნელ მოწაფიდან მიიღეს მხოლოდ 50. შენობა არა აქვთ და შერმისისთვის სცდილობენ საგან. აქაური.

---

**ქართველი მოსწავლენი საზღვარ-გარედ**

(წერილი ბელგიიდან)

ამ ბოლო დროს თვალ-საჩინოდ გამრავლდა ქართველ მოსწავლეთა რიცხვი საზღვარ-გარედ. სამწუხაროდ, არაფერი იწერება ამათ მდგომარეობის შესახებ, ამიტომ ქართველ საზოგადოებას შეძლება არა აქვს თვალ-ყური ადევნოს მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრებას და წინსვლას.

ქართველები ბელგიის ქალაქ ლიეჟშიაც არიან. ერთის გარდა, ყველანი პოლიტეხნიკუმში სწავლობენ, ესე იგი სამთამადნო და საელექტრონო ნაწილებზე. ინჟინერის დიპლომის მისაღებად ადგილობრივ მცხოვრებთათვის საჭიროა: სამთო-მადნო ნაწილზე ხუთი, ხოლო საელექტრონო ნაწილზე 4 წელიწადი, ჩვენთვის კი, როგორც უცხოელთათვის, საჭიროა ერთი წლით მეტი, რადგან პოლიტეხნიკუმში შესასვლელად, განურჩევლად დიპლომებისა, დაწესებულია გამოცდა (ეგზამენი), რისთვისაც საჭიროა ფრანგული ენა და თვით მათემატიკური საგნების უკეთ ცოდნა, ვიდრე ჩვენ საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ იციან. დიპლომებს დიდ ყურადღებას არ აქცევენ პოლიტეხნიკუმში. თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს ჩვენებურ 6,7 და 8 კლასის მოწმობებს. ამ მოწმობების საშუალებით ჩვენ გვანთავისუფლებენ მხოლოდ სხვა საგნებში გამოცდისაგან, მათემატიკურ საგნებში კი არა. მათემატიკიდან საჭიროა შემდეგი საგნები: ალგებრა, ტრიგონომეტრია, თეორეტიული არითმეტიკა, მარტივი გეომეტრია, დახაზვითი გეომეტრია და ანალიტიკური გეომეტრია. ამ საგნებიდან ჩვენებურ გიმნაზიელთათვის ზოგი სრულიად ახალია და ზოგიც ნაკლებად შესწავლილი. ყოველივე ამის გამო ჩვენ ერთი წლით მეტი გვჭირდება, ვიდრე ადგილობრივთ.

რაც შეეხება ცხოვრების სიძვირესიაფეს, საზღვარგარეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებთან შედარებით, აქ ცხოვრება ძვირად არ ჩაითვლება. საცხოვრებლად საჭიროა, დაახლოვებით 40 მანეთი, გარდა ტანისამოსისა, წიგნებისა, საეგზამენო გადასახადებისა (შესასვლელ გამოცდისთვის საჭიროა 37 ფრანკი, ხოლო გადასასვლელისთვის 105 ფრ. ფრანკი $37^1/_2$ კაპიკია) და სასწავლო ფულისა, რომელიც შეადგენს 255 ფრანკს.

ლიეჟში ამ ჟამათ არის 14 ქართველი მოსწავლე: 12 პოლიტეხნიკუმში სწავლობს, ერთი საექიმოზეა და ერთიც პოლიტეხნიკუმში შესასვლელად ემზადება. პოლიტეხნიკუმში არიან შემდეგ კურსებზე: პირველზე—4, მეორეზე—4, მესამეზე—3 და მეოთხეზე—1 (ათავებს საელექტრონო ნაწილს) წრეულს გამოცდაზე წარსდგა 14 ქართველი, რომელთაგანაც ჩაიჭრა 3. სამმა წარჩინების ქაღალდიც კი მიიღო: ალექსანდრე გეჯიმყრელმა, ლევან ხიზანაშვილმა და მიხეილ ღემურიამ. საზოგადოდ წრეულს წინა წლებთან შედარებით ყველა მუშაობდა.

საერთოდ მთელს ბელგიაში ქართველი მოსწავლე და ხლოვებით, იქნება 32. ესენი არიან ბელგიის შემდეგ ქალაქებში: ბრიუსელში—12 თუ 14 მოსწავლე (ნამდვილი რიცხვი არ ვიცი), ლიეჟში—14, მონსში—5 (2 სამთო-სამადნოზე, 2 საკომერციოზე და ერთიც ემზადება) და ჟამბლუში—1 (სამეურნეოზე).

წლეულს ლიეჟში საელექტრონო ნაწილის კურსი დაამთავრა გიორგი მგელაძემ. ეს პირველი მაგალითია, რომ ქართველს ლიეჟის პოლიტეხნიკუმში დაესრულებინოს.

დ. ჩიქოვანი.

# რუსეთი და იაპონია

**ვლადივოსტოკში**.

„რუსკ. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება ვლადივოსტოკიდან:

„აქ ხმა გავრცელდა, რომ მალე ომი დაიწყება იაპონიასა და რუსეთს შორის ა. რუსებსა თუ უცხოელებს ყველას ომი აკერიათ პირზე, ეხლა მარტო იმას-ღა კითხულობენ, როდის დაიწყება ომი.

რამდენსამე უმაღლეს მოხელეს შევეკითხე, მათ მიპასუხეს, რომ ეგ ხმები სრულიად უსაფუძვლოა და არავითარი საშიში ნიშნები არსადა ჩანსო. მაგრამ ადგილობრივი საზოგადოება მაინც ძლიერაა შეწუხებული. ვერც მთავრობის ოფიციალურმა ცნობამ დაამშვიდა აქაური ხალხი.

ამ დღეებში ხმა გავრცელდა, რომ ორს აქაურ უცხოელ საგენტოს (ერთი ამერიკელია, მეორე გერმანელი) ბძანება მოუვიდათ თავიანთ უმთავრეს კანტორებისგან, ფრთხილად მოიქეცით, ბევრს საქონელს ნუ დაიბარებთ, რადგან შესაძლებელია შორეულ აღმოსავლეთში ომი მოხდესო.

შარშანაც მოელოდნენ აქ ომსა. მაგრამ მაშინ აქაური იაპონელები გადაჭრით აცხადებდნენ, ეგ ტყუილი ხმებიაო. ეხლა-კი იაპონელები ვერე გადაჭრილ პასუხს ვეღარ იძლევიან. ბევრმა იაპონელმა სულაც არ მოისურვა ამ საგანზე ლაპარაკი, ხოლო ზოგიერთმა მიპასუხა, რომ ომი მაინც და მაინც მოულოდნელი ამბავი არ იქნება ჩვენთვისაო.

ზოგიერთი აქაური იაპონელი ფირმა ჰყიდის საქონელს და სპობს ვაჭრობას.—ასე იმიტომ ვიქცევით, რომ პორტო-ფრანკოს დაკეტვის შემდეგ (წინად ვლადივოსტოკში პორტო-ფრანკო იყო) ხელს აღარ გვაძლევს ვაჭრობაო. იაპონიის თავისუფალ ფლოტის აქაური კანტორა იკეტება და მისი გემები შესწყვეტენ მიმოსვლას ვლადივოსტოკსა და იაპონის შუა.“

**კოკოვცევის მოხსენება**.

რუსეთის ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს დაწვრილებითი მოხსენება დაუწერია შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მდგომარეობის შესახებ. როგორც მოხსენებიდან ჩანს, მინისტრი მეტად კმაყოფილია თავის მოგზაურობით შორეულ აღმოსავლეთში. მან როგზე გამოარკვია თურმე ის დახლართული მდგომარეობა, რომელიც შექმნა რუსეთ-ჩინეთის შეთანხმებამ, ხელ-მოწერილმა ამა წლის 27 აპრილს. რუსეთის განწყობილება ჩინეთთან 1896 წლიდან ე, როდესაც რუსეთი რკინის გზების გაყვანას შეუდგა ჩინეთის სამფლობელოში, მეტად გამწვავებული იყო; ბოქსიორთა აჯანყების შემდეგ, 1900 წლიდან, ხომ სულ მთლად დაიხლართა. ჩინელები ისე უცქეროდნენ რუსებს, როგორც დამპყრობებს. მინისტრის აზრით, რუსეთმა უნდა დაუმტკიცოს, რომ იგი მხოლოდ კეთილი მეზობელია ჩინეთის იმპერიისა. რუსეთი უოველთვის იცავდა ჩინეთის სამფლობელოს ხელუხლებლობას. რუსეთი, რასაკვირველია, ჯარს ვერ გაიყვანს მანჯურიიდან. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. რუსის ჯარი უთუოდ უნდა დარჩეს მანჯურიის რკინის გზის დასაცველად. ამიტომ ჩინეთის მოთხოვნილება, რომ რუსეთმა ჯარი გაიყვანოს მანჯურიიდან, უთუოდ შეუწყნარებელია. მაგრამ ზოგიერთ საქმეში-კი, მაგალითად ხარბინის თვით-მართველობის საქმეში, რუსეთმა უნდა დაუთმოს ჩინეთს და იქაურის თვითმართველობა სრულ თანასწორობაზე დაამყაროს: რუსებს, ევროპიელებს და ჩინელებს თანასწორი უფლება და მოვალეობა უნდა ჰქონდეთ ხარბინის თვით მმართველობის საქმეში. ამას გარდა, ხარბინში რუსის პოლიციის ნაცვლად უნდა დაწესდეს საკუთარი საქალაქო პოლიცია.

რუსეთ-იაპონიის განწყობილება ამ ჟამად, მინისტრის აზრით, მეტის მეტად კარგია. შორეულ აღმოსავლეთის რუსი-მცხოვრებლები სრულიად უსაფუძვლოდ მოელიან ომსა. რუსეთს არავითარი ომი არ ემუქრის შორეულ აღმოსავლეთიდან. მართალია იაპონია აძლიერებს და აუმჯობესებს თავის ჯარებს, მაგრამ რუსეთთან ომი მას ფიქრადაც არ მოსდის. რუსეთმა ამ ჟამად დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს შორეულ აღმოსავლეთის ეკონომიურ კეთილდღეობის განვითარებას და რაც შეიძლება მეტი რუსი დასახლოს

აი მოკლედ ასეთ შინაარსისაა თურმე მინისტრის მოხსენება. ამბობენ, რუსეთის მინისტრების უმეტესობაც ამავე თვალით უყურებს შორეულ აღმოსავლეთის საქმეებსაო. („რ. ს.“)

**ოსმალეთ-იაპონიის დაახლოვება**.

ბოლოს დროს იაპონია ძლიერ დაუმეგობრდა ოსმალეთს. ამას წინად იაპონელი დიპლომატები სტამბოლში იყვნენ ოსმალელ დიპლომატებთან მოსალაპარაკებლად. როგორც ვიცით ოსმალეთსა და იაპონიას შორის მოლაპარაკება იყო გამართული სამუდამო, დიპლომატიურ ურთიერთობის დაწესებაზე. მაგრამ ბოლოს ეს მოლაპარაკება შესწყდა, რადგან ორსავ ქვეყნის მთავრობამ ჯერ-ჯერობით საკმაოდ სცნა რამდენიმე კონსულის დანიშვნა.

გაზეთები იუწყებიან, რომ ამ დღეებში ოსმალეთის ელჩს სტამბოლში ბრძანება მოუვიდა სტამბოლიდან, რომ იაპონიის ელჩთან მოლაპარაკება განაახლოს იაპონიასა და ოსმალეთს შორის სამუდამო დიპლომატიურ დაწესებაზეო. („რ.“)

**იაპონია-ავსტრიის დაახლოვება**.

ოსმალეთს გარდა, იაპონია ავსტრიასაც დაუახლოვდა. ამას წინად ავსტრიის იმპერატორს წარუდგა იაპონელ ოფიცრების დეპუტაცია ერთის გენერლის მეთაურობით. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებასაც რომ რამდენიმე იაპონურმა გაზეთმა ვენაში მუდმივი კორესპონდენტები გაიჩინა.

**იაპონიის ფინანსები**.

რუსულ ოფიციალურ გაზ. „როსსია“-ს ტოკიოელი კორესპონდენტი საინტერესო ცნობებს იძლევა იაპონიის ფინანსებზე. იგი ამტკიცებს, რომ იაპონიის ფინანსები მშვენიერ მდგომარეობაშიაო:

„ომის შემდეგ იაპონიის ფინანსების მდგომარეობა სწრაფად გაუმჯობესდა, მეტადრე მას შემდეგ, რაც მმართველობა ჩაიბარა კაცურას სამინისტრომ (უკვე წელიწად ნახევარი იქნება, რაც კაცურამ სამინისტრო შეადგინა). ამ სამინისტრომ სწორედ სასწაულები მოახდინა! იაპონიის კრედიტმა ამ უკანასკნელ 16 თვის განმავლობაში ძლიერ აიწია. იაპონიის ფასიანი ქაღალდები კარგად გადის არა თუ მარტო მოკავშირე ინგლისში, თვით ამერიკაშიაც და ალბად მომავალ წელს იაპონია სწორედ ამერიკაში ისესხებს ფულს, რომელიც მას საჭიროა თავის ჯარისა და ფლოტის შეიარაღებისთვის. იაპონიის რკინის გზები კარგს შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს. ამას გარდა, იაპონიის მთავრობას ისეთი საიდუმლო თანხა აქვს, რომლის არსებობა არც ხალხმა იცის, არც პარლამენტმა. ამ დღეებში ქალ. იოკოჰამას სავაჭრო გაზ. „ბოოეკ“-ი სწერდა: „უკანასკნელ 8 წლის განმავლობაში იაპონიის მთავრობამ 600 მილიონი იენა (1 იენა—97 კაპ.) გადაინარჩუნა და აქედან მხოლოდ 95 მილიონი დახარჯაო“. ამ გაზეთმა ზედმიწევნით იცის იაპონიის საფინანსო და ეკონომიური საქმეები და თუ მისი ცნობა მართალია, კამოდის, რომ იაპონიას ამ ჟამად ნახევარ მილიარდი (500 მილიონი) იენი ჰქონია შენახული მოულოდნელ საჭიროებისთვის“.

ამ ზაფხულს შეერთებულ შტატების ელჩიც ატყობინებდა თავის მთავრობას, რომ იაპონიას საიდუმლო სამარი თანხა აქვს შენახული. სულ მცირედ 300 მილიონი იენი ექნება ამ თანხაშიო, ასე რომ ის ცნობა, ვითომ იაპონიას უფულობის გამო ომი არ შეუძლიან, ტყუილი ცნობააო.

**ინგლისის და გერმანიის განზრახვა**.

მუკდენში ხმა გავრცელდა, რომ გაზაფხულზე, ჩინეთის პარლამენტის გახსნის შემდეგ, გერმანია თავის ნავთსადგურს კიაო-ჩაოს (ჩინეთისგანაა წართმეული) ჩინეთის ფლოტს დაუთმობს. ამბობენ აგრეთვე, რომ იმავე დროს ინგლისიც ვეიხავეის ნავთსადგურს (ესეც ჩინეთისგანაა წართმეული) დაუბრუნებს ჩინეთსა.

# სასამართლო

**ალ. ამილახვრის საქმე**.

ჩვენს მკითხველთ ახსოვთ ალ. ამილახვრის საქმე, რომელსაც ამ [illegible] რის წინაშე ტფ. ოლქის სასამართლომ „ნადეჟდას“ საზოგადოებს კასირის კანაველოვის გაცარცვისთვის მიუსაჯა ხუთი წლითა და 4 თვით კატორგაში გაგზავნა.

11 დეკემბერ ტფ. ოლქის სასამართლოს წინაშე ხელმეორედ წარსდგა ბრალდებული ალ. ამილახვარი. მას ახლა ფოსტის მოხელის მაზმანოვის გაცარცვა ჰბრალდებოდა. საქმე საბრალმდებლო ოქმით ასე ყოფილა.

ალ. ამილახვარი მოძრაობის შემდეგ ჩამოსულა ტფილის და კარგა ხანს უვლია უსაქმოდ. აქ შეხვედრია ვინმე კუხელაშვილი, გასცნობია მას, და დაუწყვიათ ცარცვა-გლეჯა. როდესაც „ნდეჟდის“. კასირის კანაველოვისათვის 3500 მანეთი წაურთმევიათ, სხვებთან ერთად ამილახვარიც დაუტუსაღებიათ, რომელსაც ჯიბეში შაქრის ასაღები ვერცხლის მაშა აღმოსჩენია. გამოძიებას ამ მაშის შესახებ შემდეგი გამოურკვევია: 1906 წელს, ივლისში ალ. ამილახვარი სხვებთან ერთად მისულა ყოფილ ფოსტის მოხელის მაზმანოვის სახლში და მუქარით ფული მოუთხოვნია. თვითონ მოხელე მაზმანოვი სახლში არა ყოფილა, ხოლო მისი ცოლის მარიამის განცხადებაზე, რომ ფული არა გვაქვსო, მაინც გაუჩხრეკიათ სახლი და წაუღიათ ფულად ხუთი მანეთი და ვერცხლი ს ნივთები: საშაქრე და შაქრის ასაღები მაშა. აი ეს მაშა ყოფილა ამილახვარს რომ აღმოსჩენია დატუსაღების დროს.

სასამართლოში ბრალდებული გამოტყდა და დანაშაული იმითი ახსნა, რომ სოფელში, როგორც მემამულეს, მდევნიდნენ გლეხები და იძულებული გავხდი ქალაქში ჩამოვსულიყავ, მაგრამ აქ საქმე ვერაფერი ვიშოვე და რომ შიმშილით არ მომკვდარვიყავ, ძალაუნებურად მივყავ ხელი ძარცვასაო.

სასამართლომ ამილახვარს ხუთი წლით და ოთხი თვით კატორგა გადაუწყვიტა.

**ორ-ცოლიანობა**.

10 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ს. გასპაროვისა. მას ორ-ცოლიანობა ჰბრალდებოდა.

საქმე ასე ყოფილა: გასპაროვს შეურთავს მზითვიანი ქალი, შემდეგ ველარ მორიგებულან, და აღუძრავს შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს განქორწინებაზე. ცოლისთვის ცალკე ცხოვრების ნება მიუცია და თვითონ წასულა სამსახურში (ტყის უფროსია და რუსეთში მსახურებს). რამდენიმე ხნის შემდეგ დეპეშა მისვლია მამისაგან. ატყობინებდა ცოლის სიკვდილს. გასპაროვსაც სამსახურიდან თავისუფლების ნება აუღია, ჩამოსულა ტფილისში, მამის სახლში პანაშვიდი გადაუხდიათ და შემდეგ ჯვარი დაუწერია კიდევ მზითვიან ქალზე. მაგრამ მალე გამორკვეულა, რომ პირველი ცოლი ცოცხალი ყოფილა და საჩივარიც აღუძრავს გასპაროვის წინააღმდეგ.

სასამართლოში ბრალდებულმა თავისი დანაშაული უცოდინარობით ახსნა. მამამ და მღვდელმა შემიყვანეს შეცდომაშიო, განაცხადა გასპაროვმა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი გრუზენბერგი, ხოლო როდესაც უკანასკნელი სიტყვა აკუთვნეს ბრალდებულს, მან ხმა მაღლა ტირილი დაიწყო.

სასამართლომ ბრალდებული ს. გასპაროვი გაამართლა.

# თეატრი და ხელოვნება

(დასასრული *)

**მოსკოვი**. რეჟისორსა და მსახიობთა შორის დამოკიდებულების საკითხი დიდი ხნიდან ირჩეოდა და ეხლაც ირჩევა მხოლოდ თეორიულად, ლექციებზე და წიგნებში. წინად ნეორომანტიკოსები და დეკადენტები ამბობდნენ, რომ მსახიობს ღუპავს რეალიზმი და მისი ხსნა შეუძლიან მხოლოდ სათუო თეატრსაო. ეხლა ნეორეალისტები გაიძახიან—დეკადენტებმა დაღუპეს მსახიობიო, და ორივენი კი რეჟისორებს ამტყუნებენ. ამ საკითხზე ეხლაც თავს იმტვრევენ თეორეტიკოსები. პრაქტიკულად კი, ჩვენდა საბედნიეროდ, დიდი ხანია გადასწყდა. გადასწყდა ორის სიტყვით. სტანისლავსკიმ სთქვა: „თუ რეჟისორი მსახიობზე ნიჭიერია—იგი გაიტაცებს და გაიყოლიებს მას; თუ მსახიობია ნიჭიერი—რეჟისორი გაჰყვება“. თუ მსახიობი ხელოსანი ან ჯამბაზი არ არის, იგი მუდამ შეიგნებს როლს და რეჟისორსაც შეეთანხმება, მაშასადამე, არც ძალა იქნება საჭირო. თუ რეჟისორმა ალღო აუღო მსახიობს, გაიგო მისი სულიერი გრძნობა ამა თუ იმ როლის შექმნაში, მაშინ იგი უფრო ფერადის საღებავებით დაუხატავს მას გმირის შინაგან, თუ გარეგნულ სიმშვენიერეს, გააფართოვებს მის ჰორიზონტს, ფრთებს შეასხავს ფანტაზიას, უფრო ღრმად ჩაახედებს გმირის სულში და ნიჭიერი არტისტი-მსახიობიც გაჰყვება მას. ეს ორი შეერთებული ძალა და ნიჭი გზა და გზა შეჰქმნიან და ჩამოაყალიბებენ სულ ახალსა და ახალს... ამ შემთხვევაში, ვინც შორს მხედვე-

*) იხ. „დროება“ N 276.

ლია, უფრო გრძნობიარე, ვინც მეტად ალიგზნება—ის იქნება წინ და მას მიჰყვება მეორე. ორივენი კი შეჰქმნიან ერთ მშვენიერებას.

რაც უნდა ნიჭიერი იყოს რეჟისორი, რა გინდ თვალწარმტაცის სიმშვენიერით დაუხატოს მსახიობს ესა თუ ის ტიპი, თუ მან ანგარიში არ გაუწია თვით მსახიობს, თავისი აზრი და შეხედულება არ შეუთანხმა იმის პიროვნებას, ნიჭსა, ჩვეულებასა და ტემპერამენტს—მისი შრომა უნაყოფო იქნება. მსახიობის უძლურებას წინ უნდა დაუყენოთ კომპრომისი.

სულ სხვაა მსახიობი. თუ იგი ცხებულია ზეგარდმო ნიჭით და გმირი სავსებით განაცხოველა, გაიმსჭვალა მისი გრძნობით, ცხადად დაინახა გმირის მიმალული, განსაკუთრებული რამ თვისება, უფრო ნაზად შეეხო მის ფსიხოლოგიას და აღმოაჩინა საიდუმლოებით დაფარული ზიგზაგები; რეჟისორზე მეტად გაიტაცა, მეტად შეუყვარდა, აღიგზნო,—აქ უსათუოდ რეჟისორი გაჰყვება მას არა მარტო ერთის როლის გადმოცემაში, არამედ მთელის პიესის ინტერპრეტაციაში. მსახიობის ზე-გავლენით რეჟისორი აღმოაჩენს სხვა, პიესის თვალ-საჩინო სილამაზეს, გაშლის უფრო ფართო პოეტურ ჰორიზონტს. აქ იბადება საკითხი: რომელი უნდა იყოს უფრო ნიჭიერი—რეჟისორი თუ მსახიობი? ეს საკითხი გამოურკვეველი რჩება. მოხდება ხოლმე—ნიჭიერი მსახიობი პირველი ნაბიჯიდანვე წამოისვრის სრულიად გარკვეულს, ჩამოყალიბებულ ტიპს, რომელსაც მხოლოდ ცოტა გაშალაშინებაღა სჭირდება. ეს ბედნიერება რჩეულთა ხვედრია და ძალიან ძვირად მოხდება ხოლმე.. და თუ მოხდა—რომელი გიჟი რეჟისორი შეაჩერებს და შეზღუდავს ასეთ სასწაულთ-მოქმედს?! უმეტეს შემთხვევაში მსახიობი ტანჯვა-წვალებით არკვევს თავის როლს. იგი თითქოს სიბნელეში დადის და ხელის ფათურით ეძებს იმ ელემენტს, რომელიც მას დააინტერესებს და გაიტაცებს; ან შეხვდება ისეთი დაწყევლილი როლი, რომელსაც მსახიობი ვერას გზით ვერ მიუდგება; მაშინ რეჟისორი უნდა ალიჭურვოს განუსაზღვრელის მოთმინებით, ელოდოს სანამ მსახიობში ნაპერწკალი გაღვივდება, გმირის მკვდარი სული გათბება და და ხმას გამოსცემს. ამაზე იხარჯება ბევრი რეპეტიცია. თუ ამგვარი რამ მოხდა, სტანისლავსკი ერთ წერტილზე შეჩერებულ მსახიობს მხოლოდ გაკვრით მოაგონებს უმთავრეს თვისებას გმირისას, აქა-იქ გაჰკრავს თავის შესანიშნავ დაუშრეტელ სადებავებს; ან მეორე განთქმული რეჟისორი—ნემიროვიჩ-დანჩენკო ახსნის ფარდას, მსახიობს შორით დაანახვებს პიესისა და გმირის ფსიხოლოგიურ ზიგზაგე ს, დაახლოვებით აუხსნის, თუ რა გზით შეიძლება იქ მისვლა,—და მსახიობი დაიძვრის მკვდარ წერტილიდან და მიდის. შეიძლება მსახიობი ვერ მიუხვდეს სტანისლავსკის ფერადებს, ვერ გაიგოს ნემიროვიჩ-დანჩენკოს ფსიხოლოგია, მაგრამ რაღაც საიდუმლო სიმი მაინც ჩამოჰკრავს მსახიობის გულში, იღვიძებს მისი შემოქმედებითი ძალა და იწყებს მუშაობას: ჯერ იგი შეამჩნევს ერთ რომელსამე წერტილს—თვისებას, მერე გაიგონებს მისთვის უცხო ხმას... მისდევს ამ ხმას—იგი ძლიერდება, წერტილი იზრდება, იშლება ახალი საიდუმლოებანი და ბოლოს ეს წვრილმანები ერთდებიან და იბადება ერთი დიადი, სრული არსება.

რეჟისორის პირდაპირი დანიშნულება, მისი მოვალეობაა: დაეხმაროს მსახიობს გააფართოვოს ნიჭი, გაუფაქიზოს სული, ღრმად ჩაახედოს მის საკუთარ „მე“-ში და გადააჩვიოს თეატრალურ „მანერებს“. ხაზი გაუსვას ყოველ მის წრფელ, ინდივიდუალურ გრძნობებს, აღნიშნოს და დაინახოს ის გზა, რომლითაც მსახიობი მივიდა როლის სიმართლემდე და მსახიობის თვისებებს შეუფარდოს თავისი ცოდნა და ნიჭიც.

ამისათვის საჭიროა რეჟისორისა და მსახიობთა შორის არსებობდეს თანხმობა და საქმისადმი თანასწორი სიყვარული. თუ ეს არ არის, სიმი გაწყდება და მაჯის ცემა შეჩერდება და საქმეც ჩაიშლება.

პიესაში საჭიროა ანსაბლი ისე, როგორც ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში საჭიროა ჰარმონია, ფერადების შეთანხმება-შეზავება. სადაც პიროვნება დაჩაგრულია, იქ ჰარმონიაც შეუძლებელია. წარმოვიდგინოთ დასი: სალვინი, ელეონორა დუზე და სხვა ამისთანა ჰენიოსთ მსახიობნი. ამათაც რეჟისორი სჭირიათ, მაგრამ არა ჩვეულებრივი, არამედ ამათზე უფრო ნიჭიერი და მხატვრული გემოვნების პატრონი. განა აქაც შეიძლება ითქვას, რომ მათი პიროვნება რეჟისორმა დაჩაგრა და გააქრო? მაშასადამე, სადაც კარგი ანსაბლია, იქ კარგი მსახიობნი—ინდივიდუალისტებია და ასეთივე რეჟისორიც. შეიძლება ოდესმე გამოჩნდეს ისეთი დამთხვეული მსახიობი ინდივიდუალისტი, რომელიც ვერავითარ ანსამბლს ვერ შეურიგდეს, ვერ მოთავსდეს დასში... მოითხოვს—მის გარშემო გაჰქრეს ყველაფერი და მხოლოდ ისღა დარჩეს სცენაზე. როგორ ვიყოთ მაშინ? ამ გვარმა მსახიობმა უნდა უარჰყოს თანამედროვე რეპერტუარი და შემოიღოს არა სასურველი სავასტროლო სისტემა. თანამედროვე რეპერტუარისთვის საჭიროა ანსამბლი და მაშასადამე—რეჟისორიც. ეხლანდელ პიესებში ცალკე ინდივიდების შეჯახება საზოგადოების ზურგზე—ამ უკანასკნელის აბუჩად აგდებაა. იმდენად გაიზარდა საზოგადოების გემოვნება, პრესა, გართულდა თეატრის მხატვრული საკითხები, რომ ძველი სკოლისაკენ დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია. ის მსახიობი, რომელიც ანგარიშს არ უწევს პიესას, ავტორს, საერთო ჰარმონიას, საზოგადოების გემოვნებას—ინდივიდუალისტი კი არ არის, არამედ უკულტურო და ცუდი გემოვნების ხელოსანია.

ლექტორმა დავიდოვმა სთქვა: „სტილიურად დადგმული პიესა მსახიობის ნიჭს ზღუდავს“-ო... შემცდარია! სტილიზაცია მსახიობისათვის მეტად ძნელი ამოცანაა. მსახიობისაგან სტილიზაცია მეტს ითხოვს, ვიდრე რეალურად დადგმული პიესა. წარმოვიდგინოთ სცენა, რომელზედაც გარდა ნაცრის ფერ ტილოსა არაფერი მოიძებნება; არც მხატვრული დეკორაცია, არც ავეჯი და წვრილმანი აქსესუარი... ეს სიცალიერე მსახიობმა მოქმედებით უნდა შეავსოს: თავისი სულიერი ტანჯვა-ნეტარებით, მხურვალე სისხლით გაათბოს მის გარშემო სიცივე-სიცალიერე და გადასცეს მაყურებელს.

განა შესძლებს ამას ძალად გრძნობა დაჩლუნგებული, დაჩაგრული მსახიობი? არა მგონია! პირიქით, რამდენი გრძნობა, სულის კვეთება, აღტაცება, ფანტაზია და გმირობა უნდა გამოიჩინოს მსახიობმა, რომ გარდა როლის უმთავრეს ხასიათისა მაყურებელს გონების თვალით დაანახოს, აგრძნობინოს ტყე-ველი, მთები, ზღვა... გააგონოს მისი შხუილი... აქ საკმარისია ერთის წუთით გაცივდეს მსახიობი და მთელი სცენა საყინულედ გადაიქცევა, საზოგადოებასაც მოეწყინება. ხელოვნება კი კარგია მაშინ, როდესაც მოსაწყენი არ არის. ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელია მსახიობისათვის ლირიკული მონოლოგი ასეთ ცალიერ სცენაზე. ჯერ ეხლა, როდესაც ყველაფერი ხელს უწყობს მსახიობს, არა არის რა მისთვის ისეთი საშიში, როგორც მონოლოგი. დიდის გაჭირვებით დაიწყებს, მაგრამ გონება საზოგადოებისაკენ აქვს მიქცეული: ხომ არ ახველებენ, ან ცხვირი ხომ არ დააცემინა ვისმეს, ან ხომ არ მოეწყინათო—ფიქრობს იგი. ერთის სიტყვით, სათუო და სტილიურად დადგმულ პიესებისათვის საჭირო მსახიობი ჯერ არ დაბადებულა. მართალია თეატრი მიილტვის სტილიზაციისაკენ, მაგრამ იგი მიდის ნელის ნაბიჯით. მსახიობი და სცენა ფეხდა-ფეხ მისდევენ ერთმანეთს.

მოსკოვის სამხატვრო თეატრმა ამ შემთხვევაში სხვაზე მეტი გზა გაიარა. იგი თანდათანობით ზრდის მომავალ თეატრისათვის მსახიობთ და მიზანსცენებსა და დეკორაციებს იმდენად აადვილებს, რამდენადაც ეს თვით პიესას მოუხდება და შეეფერება. ამ გვარად რეალიზმს თანდათან ნიადაგი ეცლება და გადადის სტილიზაციაზე.

მე მინდოდა დამემშვიდებინა, რომ თანამედროვე თეატრი არა თუ მსახიობის ნიჭს არ ახშობს და არ უკარგავს ინდივიდუალობს, არამედ, პირიქით, ისე არაფერი აინტერებს, როგორც მსახიობის გაზრდა-განვითარება და მისი გრძნობის გაღრმავება. არც ერთ რეჟისორს არ დაუხარჯავს ამაზე იმდენი შრომა და მხნეობა, რამდენიც დახარჯეს სტანისლავსკიმ და ნემიროვიჩ-დანჩენკომ. აქედან დასკვნა: არც მისტიური და მეტაფიზიკური და მით უფრო დეკადენტური დრამები თანამედროვე თეატრში არ გამეფებულა. თუ ეს ასეა, ცხადია, არც რეჟისორი გაუტაცნია ამ მიმართულებას და, მაშასადამე, მსახიობიც არ დაუჩაგრავს. პირიქით, ეხლანდელ რეჟისორების ლოზუნგია—რეალიზმი და ხშირად ნატურალიზმიც, რაც შესამჩნევად ხელს უშლის სათუო თეატრის ზრდას. რეჟისორს არასოდეს არ ულიარებია თავი სცენის სრულ ბატონ-პატრონად და ბრძანებელად... არ გაუქრია მსახიობის ინდივიდუალობა. ეს ფანტაზია ნაყოფია თანამედროვე პიესების (ჩეხოვი, ჰაუპტმანი) ანსამბლისა. რომელშიაც, მართალია, პიესის საერთო ჩარჩოდან არც ერთი აღმასრულებელი არ გამოდის. ანსაბლი შეუძლებელია იქ, სადაც ინდივიდი არ არის.

თეატრი სტილიზაციისაკენ მიდის, მაგრამ არა მის მსახურთა გაქრობითა და დაჩაგვრით, არამედ მომავალ სათუო თეატრს ნელ-ნელა, თანდათანობით უზრდის ახალ მსახიობებს.

**ვ. შალიკაშვილი.**

—

**წარმოდგენის გადადება.** როგორც შეგვატყობინეს, ქართული წარმოდგენა დღეს აღარ შესდგება, რადგან დეკორაციების დაატვა ვერ მოუსწრიათ. გადადებულია სამშაბათს, 15 დეკემბრისათვის. წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური პიესა. გლახაშვილისა „წყურვილი“. ვისაც ბილეთები აღებული აქვს, გამოდგება სამშაბათისთვის.

—

**ავლაბრის თეატრი.** დღეს, 12 დეკემბერს ავლაბრის თეატრში ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის მიერ, თამარა გოგოლაშვილისა და სიმონ სიმონიძის მონაწილეობით, წარსოდგენილს იქნება ტრიფონ რამიშვილის პიესა „მეზობლები“.

—

**ვერის აუდიტორია.** ვერის სახალხო აუდიტორიაში დღეს, 12 დეკემბერს, ქართულ სცენის მოყვარენი წარმოადგენენ გუნიას პიესას „სიძე-სიმამრს“.

—

**სალამო ქუთაისში.** დღეს, 12 დეკემბერს, ქუთაისში იმართება სალამო წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ. სხვათა შორის სალამოში მონაწილეობას იღებს ტფ. ოპერის მომღერალი ქალი შულგინა.

# უცხოეთი

## ლიბერალებისა, ირლანდიელებისა და მუშების შეთანხმება ინგლისში.

ინგლისის ლიბერალური პარტია, მუშათა პარტია და ირლანდიელები შეთანხმდნენ მომავალ არჩევნებში მოქმედების თაობაზე.

ირლანდიელ ნაციონალისტებში ბევრს არ მოეწონა პირველ მინისტრის ასკვიტის განცხადება ირლანდიის ავტონომიაზე. ასკვიტს მოკლედ ეთქვა: მომავალ პარლამენტში ლიბერალური პარტია თავისუფლად შეუდგება ირლანდიის ავტონომიის განხორციელებასო. ამ უნდო პოლიტიკოსებს სურთ ზედმიწევნით შეიტყონ, თუ რანაირი იქნება ასკვიტის მიერ დაპირებული ავტონომია. მაგრამ ირლანდიელთა მეთაურის ჯონ რედმონდის წინადადებით, ირლანდიის ეროვნულ ლიგის კომიტეტმა მაინც დაადგინა, მომავალ არჩევნებში ირლანდიელებმა მხარი უნდა დაუჭირონ ლიბერალებსაო. ეს დადგენილებაც რომ არა ყოფილიყო, ირლანდიელები ძალა-უნებურად ლიბერალებს მიემხრობოდნენ არჩევნებში, რადგან კონსერვატორებმა ასკვიტის განცხადების უმალ ბუკითად დაიწყეს ყვირილი „ძირს ირლანდიის ავტონომიაო“. ეს გარემოება, რაღა თქმა უნდა, გააკებინებს ირლანდიელებს, რომ კონსერვატორები ახლაც ისევ ისეთ მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ ირლანდიის ავტონომიას, როგორც გლადსტონის დროს უწევდნენ და რომ ავტონომიის მოცემა მარტო ინგლისის ლიბერალურ პარტიას სწადიან.

მუშათა პარტიაშიაც არსებობს ჯგუფი, რომელსაც ყოველი შეთანხმება ლიბერალებთან მიაჩნია მუშათა ინტერესების ღალატად, მაგრამ მუშათა პარტიის მეთაურებს მშვენივრად ესმისთ, რომ ბრძოლა ლორდებთან არის საერთო საქმე მთელის დემოკრატიისთვის და რომ ამიტომ ყველა დემოკრატიულმა პარტიამ მომავალ არჩევნებში ერთმანეთს უნდა დაუჭირონ მხარიო. მუშათა პარტიის მეთაურმა ჰენდერსონმა კრებაზე სინანული გამოსთქვა იმის თაობაზე, რომ ლიბერალებთან საარჩევნო ბრძოლის მთლად თავიდან აცილება შეუძლებელიაო და თან განაცხადა, რომ მუშათა პარტია უთუოდ ეცდება, რომ ეს ბრძოლა, რაც შეიძლება, ნაკლები იყოსო, რადგან ესეთი ბრძოლა ბევრგან გაუადვილებს გამარჯვებას კონსერვატიულ პარტიის წარმომადგენლებს, მით უმეტეს რომ ინგლისში ხელმეორედ არჩევანი არაა დაწესებულიო. ამიტომ ყველა იმ ადგილებში, სადაც მუშებს კანდიდატის გამარჯვება საეჭვოდ იქნება, მუშების კანდიდატურას მოვხსნითო. გაუქმებულ კანდიდატურების სია ამ დღეებში გამოცხადდება. ეს სია, ჰენდერსონის სიტყვით, უფრო გრძელი იქნება, ვიდრე მოელიან.

**კონკორდატის საქმე ესპანიაში.** ესპანიის ახალმა სამინისტრომ პირველ მინისტრის მორეტის მეთაურობით განიზრახა დახურულ საერო სკოლების გახსნა, მაგრამ სამინისტროს ამ საქმეში დიდი წინააღმდეგობა გაუწია ესპანიის სამღვდელოებამ, რომელიც თავის პროტესტს ამყარებს ესპანიასა და რომის პაპს შორის არსებულ კონკორდატზე (შეთანხმებაზე). სამღვდელოება ირწმუნება, რომ ამ კონკორდატის ძალით, ესპანიის სკოლებში სავალდებულოა სარწმუნოებრივი სწავლება. მთავრობა ამის პასუხად აცხადებს, რომ ეს კონკორდატი 1851 წელსაა შედგენილი, ძლიერ დაძველდა და უთუოდ უნდა შეიცვალოს ახალ მოთხოვნილების თანახმადო. სხვათა შორის, უნდა შეიცვალოს ის მუხლები, რომლებიც შეეხებიან სწავლებისა და სინიდისის თავისუფლების საქმესაო. ამას გარდა, უნდა შემცირდეს ესპანიის კონგრეგაციების რიცხვიო. ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ რომის პაპს ძლიერ დააფიქრა ესპანიის მთავრობის ასეთმა გადაწყვეტილებამაო. მან უკვე დაავალა კარდინალ ვანუტელის, მოლაპარაკება გამართოს ესპანიის ელჩთან ახალ კონკორდატის შედგენის შესახებაო.

# რუსეთი

**სამოსამართლო პალატის დადგენილება.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატას დაუდგენია, მოსთხოვოს პეტერბურგის სამოსამართლო ოლქის ნაფიც-ვექილთა საბჭოს, რომ ქ-ნი ფლეიშიცი ნაფიც-ვექილთა წოდებიდან გამორიცხოს.

**ჯარიმა.** „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქცია იმუშავებს ახალ კანონ-პროექტს. კანონ-პროექტით უნდა დაჯარიმებულ იქმნენ ის დეპუტატები, რომლებსაც აეკრძალებათ სათათბიროს რამდენიმე სხდომაზედ დასწრება. ოქტომბრისტებს იმედი აქვს, რომ ამით ცოტათი შეაკავებენ მემარჯვენეებს.

**პურიშკევიჩი.** როგორც მკითხველს მოეხსენება, სარატოვში უნივერსიტეტი გაიხსნა უნივერსიტეტი ამ დღეებში აკურთხეს. სახელმწიფო სათათბიროს „ცნობილ“ დეპუტატს, პურიშკევიჩს სარატოვის ქალაქის თავისთვის დეპეშა გაუგზავნია, ძალიან ვწუხვარ, რომ სარატოვში „კრამოლის“ გასავრცელებელი დაწესებულება გახსნესო.

**ახალი უნივერსიტეტი.** საერო განათლების მინისტერის ამხანაგს გეორგიევსკის სატახტო ქალაქის გაზეთების თანამშრომლებისთვის უთქვამს: სამინისტრომ გადასწყვიტა ჩრდილოეთ-დასავლეთ რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში უნივერსიტეტი გახსნასო.

**მემარჯვენეების გადაწყვეტილება.** სახელმწიფო სათათბიროს უკიდურეს მემარჯვენეებს გადაუწყვეტიათ ყოველივე ღონე ვიხმაროთ, რომ სათათბირო დაითხოვონო.

**შუამდგომლობა.** ყაზანის ეპარქიის სამღვდელოების კრებას შუამდგომლობა აღუძრავს სინოდთან: შეიმუშავეთ ახალი ლოცვა რუსეთის ხალხის ლოთობისგან განთავისუფლების შესახებო!!.

**ხელშეკრულება** „გოლ. მოსკ.“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: მოსკოვსა, პეტერბურგსა და სხვა დიდ ქალაქებში ამ უკანასკნელ დროს ქორწინების წინ ქმარი და ცოლი ხელშეკრულებას სდებენ. ხელშეკრულებაში აღნიშნულია რა ქონება აქვს ცოლს, ან რას აძლევს ქმარი და რა ქონება აქვს ქმარს. გაყრისდროს ქმარი მოვალეა ცოლს მის ქონება დაუბრუნოს.

**გაპონის მკვლელობა.** როგორც ვიცით, გაპონის მომხრე მუშებმა მოითხოვეს სამედიატორო სასამართლო. სამედიატორო სასამართლოს უნდა გამოერკვია, იყო თუ არა გაპონი პრივოკატორი. „რუსკ. სლ.“ სიტყვით, სამედიატორო სასამართლო აღარ შესდგება. გამოირკვა, რომ უშაკოვს და გაპონის სხვა მომხრე მუშებს იმიტომ სდომებიათ სამედიატორო სასამართლო, რომ დაემტკიცებინათ, გაპონის მოკვლას პოლიტიკური სარჩული არა ჰქონდა და შემდეგ მთავრობისთვის გაეადვილებინათ ინჟინერ რუტენბერგის მოთხოვნა (რუტენბერგმა მოჰკლა გაპონი). რაიც ადვილად მოხერხდებოდა, რადგან რუტენბურგი პოლიტიკური დამნაშავე აღარ იქნებოდა. „რეჩი“-ს სიტყვით, აღმოჩენილა ისეთი ქაღალდები, საიდანაც ჩსანს, რომ გაპონს პოლიციის დეპარტამენტის უფროსთან, რაჩკოვსკისთან ჰქონია დამოკიდებულობა.

**პროვოკატორის გასამართლება.** „რეჩი“-ს სიტყვით, პარიზში ამ ჟამად პარტიული სასამართლო ასამართლებს ერთ რუს პროვოკატორს, (სოციალ-დემოკრატს) რომელსაც ბურცევის სიტყვით ამხანაგები გაუცია, მათ შორის, თავისი საყვარელი.

რედაქტორ-გამომცემელი
**ი. ს. აგლაძე**

# განცხადებანი


**კირველი კერძო სამკურნალო**

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. შულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. გ. ალბრეხტი:** 12—$1^1/_4$ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. გ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—234)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—22)

**დაიკარგა**
უბის წიგნი „კალენდარი მასწავლებელთათვის“, [illegible] სთხოვენ, წარუდგინოს [illegible] ქალთა მესამე გიმნაზიაში, მასწავლებელ ქალს. მიიღებს ჯილდოს. (1—1025—1)

**ბოდიშს ვიხდი**
კნ. ანასტასია გრიგოლის ასულის ვახვახიშვილის წინაშე, რომელსაც ჩემდა უნებურად, სხვის წყალობით, შეურაცხყოფა მივაყენე.
**კნ. ალექსანდრა რუსიშვილისა.**
(1—961—1)

საყმაწვილო ახალი წიგნაკი
**„სიბრალული კარგია“**
**ნატალია რ. გიგაურისა. ფასი 3 კაპ.**
იყიდება ტფ. წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში—მთავრიშვილის მაღაზიაში, გორში და მიხაილოვში მაისთროვის მაღაზიებში და სურამში—ხორავასთან, (4—ფ.—2)

**გამოვიდა გასასყიდად**
**გ. ჩარკვიანის** მიერ შედგენილი და „სორაპნის“ ამხ. გამოცემული



ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.
კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ.

**სახალხო კალენდარი**
**1910 წ.**
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
**ფასი 20 კაპ.**
ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.
ადრესი: Типографія „Сорапанъ“. Гачечиладзе. (15—12)

## ნიკოლოზ ანტონის ძე საბაევი ქ. ბ ა თ ო მ შ ი.

რადგან ბათუმის, ქუთაისის და მისივე მაზრის ბევრმა მცხოვრებმა არ იცის ჩემი სავაჭროს გადატანა ახლად აგებულ «პ ა ს ა ჟ შ ი», და ამასთან რადგან ბლომად მაქვს მოგროვილი დიდი ხნის საქონელი და აგრეთვე მიღებული მაქვს დიდ-ძალი ახალი საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებისა, ამიტომ **გაიმართა ძლიერ გაიაფებული ბაზარი 7 ამა ქრისტეშობისთვიდან ვიდრე დამლევამდის.**

ფასები დაკლებული იქნება ჩვეულებრივზე **20-დან 60 პროცენტამდის** ყველა ქვემო-ჩამოთვლილ საქონლებზე: ყოველ-გვარი შუშეულობა, ფარფორის და ფაიანსის სერვიზი, ლამპეული ნავთისა და ელექტრონისა და მისი პროვოდები, ბრონზეული, მელხიორის დანა-ჩანგლები, ბპილენძეული, სამოვრები, ემალ-გადაკრული ჭურჭლეული და სამზარეულოს ყოველ-გვარი მოწყობილება - ფეჩქები, ქუხნები ნახშირისა, მეშის თუ ნავთისა, კლიონკები. ყოველ-ნაირი მებელი, სკამები, სარკეები, პირის საბანებლები, რკინის კრაოტები, მატრაცები და ზვა ბევრი ამგვარი საქონელი იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება მობრძანდება და თვით დარწმუნდება, რომ მართლაც ძლიერ იაფი ფასებია დანიშნული საქონელზე. გაჭრობა ნაღდზეა და გადაწყვეტილი ფასიც საქონელზეა დაწერილი. (10—ფ.—2)

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წელს.**
რუსეთში ერთად-ერთ ორ-კვირეულ იშვიათ სილამაზის სამხატვრო- სალიტერატურო და სამეცნიერო საუცხოვო სურათებიან ჟურნალ

## „პრობუჟდენიე“-ზე

ჟურნალი ხუთი წელიწადია რაც გამოდის.

რუსეთის ინტელიგენცია ნდობითა და სიყვარულით ეპყრობა ჟურნალ «პ რ ო ბ უ ჟ დ ე ნ ი ე»-ს. თანამშრომლობენ რუსეთის საუკეთესო მწერლები და მეცნიერები, რის გამო ჟურნალი მეტად გავრცელებული და პოპულიარულია. 1910 წელს უფრო გალამაზებული იქნება „პრობუჟდენიე“. ასეთი პერიოდული გამოცემა არა ყოფილა ჯერ რუსეთში. მცირფასი განძია სამხატვრო ბიბლიოთეკისთვის. განაზლებულ ჟურნალში დიდი ყურადღება იქნება მიქცეული სამხატვრო განყოფილების გაუმჯობესებაზე და სურათების სიმშვენიერეზე ფერადიანი სურათები დამზადდება ბერლინსა, დრეზდენსა, ლაიპციგსა მიუნხენსა და პეტერბურგში.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ რუსეთის ცნობილი თანამედროვე მწერლები: ლეონიდ ანდრეევი, არციბაშევი მ. პ., ანდრუსონი ლ. ი., ბარანცევიჩი კ. ს., ბუნინი ი. ა., ბუდიშჩევი ა ნ., გუსევ-ორენბურგელი ს. ი., გნედიჩი პ. პ., გოროდეცკი სერგი. იზმაილოვი ა. ა., იზმაილოვი ვლ., კამენსკი ა. პ., კუპრინი ა. ნ., ლენსკი ვ. ი., ლიხაჩოვი ვ. ს., მუიჟელი ვ. ვ., ნაიდენოვი ს. ა., ნემიროვიჩ-დანჩენკო ვას. ივ., პოტაპენკო ი. ნ., რიმკოვი ვ. ა., სერაფიმოვიჩი ა. ს., სკიტალეცი, ტიხონოვი ვლ. ა., ტიმკოვსკი ნ., ტოლსტოი ა. ნ., უმანოვი-კაპლუნოვსკი ვლ., ჩირიკოვი ე. ნ., ჩეხოვი ა. პ., მჩეპკინა-კუპერნიკი ტ. ლ. და მრავ. სხვანი.

**1910 წელს ჟურნალი შესამჩნევად გადიდებულ პროგრამით გამოვა:**
რომანები, მოთხრობები. ისტორიული ბელეტრისტიკა, ლექსები, მიმოხილვანი ისტორიიდან და ლიტერატურის ისტორიიდან რუსეთისა და მხოფლიო. ფელეტონები. ლიტერატურის ახალი ნაწარმოებნ—ირუსეთისა და უცხოეთისა. სატირული და იუმორისტული მოთხრობანი, კრიტიკა, ხელოვნება, თეატრი და მუსიკა. მოგზაურობანი, ეთნოგრაფიული მიმოხილვანი. მოგონებანი და წერილები. მეცნიერულ-პოლიტიკური წერილები თანამედროვე საკითხზე. მიმდინარე ამბები. ბუნების-მეტყველება. მეცნიერების განვითარება. დრამატიული ნაწარმოებნი ნოტები, ბიბლიოგრაფია.

1910 წლის ხელის მომწერნი მიიღებენ (ყოველ თვის 1-სა და 15-ში):
**24** ნომერს ჟურნალისას მშვენივრად დასურათებულს. **25** მრავალ-ფერიანს სურათს რუსეთის და საზღვარ-გარეთის ცნობილ მხატვრებისას.
**12** მშვენიერ მხატვრულ ალბომს სურათებისას (70 სურათზე მეტი ცალკე ფურცლებზე):
1. რაფიელ სანტი: რჩეული სურათები ყველა დროისა და ხალხების საუკეთესო სურათებისა.
2. რემბრანდტი.
3. მურილიო. რჩეული სურათები ცნობილ ესპანელ მხატვრისა.
4. ლეონარდო და ვინჩი. რჩეული ნაწარმოებნი იტალიის ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლისა.
5. მიქელ ანჯელო. გამოჩენილი სურათები დიდებულ იტალიელ მხატვრისა.
6. რუბენსი. რჩეული სურათები გამოჩენილ ფლამანდელ მხატვრისა.
7. კორეჯიო. რჩეული სურათები გამოჩენილ იტალიელ მხატვრისა.
8. მეისონიე. საუკეთესო სურათები დიდებულ ფრანგ მხატვრისა.
9. მენცელი ა. გამოჩენილი სურათები გერმანიის ისტორიულ მხატვრისა.
10 ტიციანი. რჩეული სურათები დიდებულ იტალიელ მხატვრისა.
11. ალმა თადემა. ცნობილ ჰოლანდიელ მხატვრის სურათების ალბომი.
მიქაელ მუნკაჩი. უნგრელ მხატვრის გამოჩენილი სურათები.

**ხელის მოწერის ფასი:** ერთი წლით გაუგზავნელათ 6 მან., გაგზავნით ყველა ქალაქში 7 მანეთი. ნახევარი წლით 4 მან. სამი თვით 2 მან. საზღვარ-გარედ 10 მან. სამ თვეზე ქვევით ხელის მოწერა არ მიიღება.
ადრესი: Редакція журнала „ПРОБУЖДЕНІЕ“: С.-Пет—ргъ, Б. Подьяч. д. 39
რედაქტორ-გამომცემელი **ნ. ვ. კორეცკი.**
(3—3)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 278 კვირა, 13 დეკემბერი 1909 წ. № 278



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მოკლე წერილებს და კორესპონდენციას ხელ არ ისასხება ინახება ერთის თვით მხოლოდ. [illegible] პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



მაგდან იმერლიშვილისა, შვილები: ლადო, ალექსანდრე, ნინო, საშა და კატო, რძალი—სოფიო, სიძე—გიორგი, მარიამ იანქოვ სა შვილებით, ანნა გაჩეჩილაძე შვილებით და მართა იმერლიშვილისა შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას ქალაქ ვლადივოსტოკში პირველი—საყვარელ მეუღლის, დანარჩენნი—ძვირფას მამის, დაუვიწყარ სიმამრის, მამამთილის, სიძის და მაზლის

## მღვდლის სოლომონ იმერლიშვილისას.

წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქმნება 15 ამ თვეს, დილის ათ საათზე, ტფილისში, კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—1000—1)

ქალაქ ვლადივოსტოკში უეცრად გარდაიცვალა სამხედრო უწყების მღვდელი

## სოლომონ იმერლიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის ძალუა მაგდან აარონ იანქოშვილის ქვრივი შვილებით: მათე და ნინოთი, რძალი დარო იანქოშვილისა და სიძე ექიმი რომან მაჭავარიანი. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქმნება სამშაბათს ამ თვის 15-ს, დილის 10 საათზე, ტფილისის კალოუბნის წმ. გიორგის ეკკლესიაში. (1—1000—1)

კვირას, 13 დეკემბერს, ქ. ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში (ძველ სობოროში) გადახდილი იქნება წლის წირვა განსვენებულ მასწავლებლის

## ანდრია სიმონის ძე ბენაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის ძმისწული ბაბო ბენაშვილი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს. (2—კვ.—2)

უბედური მშობლები ლისადა ალექსანდრე, გულდამწვარი ძმები გიორგი და მიშა, რძალი სოფიო ძმისწული საშურა, ბიძა და ბიცოლა ბეჟან და პელაგია, ბიძაშვილები იასონ და კოწია საბახტაშვილები, ბიძა და ნათლია სილოვან და ზინა ებრალიძენი, დეიდები ანნა ხოჭოლავასი და და ფედოსია ტორაძისა გულმწუხარეთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულ გარდაცვალებას დაუვიწყარის ძვირფასის

## ელუშა საბახტარაშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის ხუთ საათზე, დასაფლავება დანიშნულია 13 დეკ., კვირას შუადღის 3 საათზე, ქ. ფოთში. (3—6.3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—6.—62)

## გაფრთხილება

საკალგასო მაღაზია

## ◀ კორბოზი ▶

პუშკინის ქუჩაზე, ამით აფრთხილებს პატივცემულ მუშტარს, რომ ამ მაღაზიას ქალაქში განყოფილებები არა აქვს. დღესასწაულებისთვის მიღებულია მარსელიდ-ნ: „ანჩოუსი", „ტრეპკა" (morio), „როკფორი" (Rocfor). არის აგრეთვე ყოველთვის ყველი „ბრი", „ნევშატელი" „კამამბერი" და „დელისელი", ვიჩანა რუსული და ადგილობრივი, თითონ მაღაზიის მიერ დამზადებული. (2—ნას.—1)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—223)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დილით 9-დან 11-მდე. პიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში. იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—6.—3)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—12)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—71)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ქუთხე). (100—ზალ.—84)

**ექიმი** კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: აგჭალის ქუჩა, N 34. (25—6.—22)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი მ. ტ. ბალანჩივაძისა. ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—6.—21)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ მედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—70)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—81)

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან გ ა ი ხ ს ნ ა

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიჩრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—66)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზოვრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—319)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტუღუშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—125)

**ექიმი** გ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—60)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთა5 მოსიარულე აგადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოხელიანისა—ქალ, ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი—ნერვებ,' სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ბებ., ქალ., ყოველდღე 1—2

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

ასპიროვი—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს..

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—6.—127)

## ◀ ვქისრულოვ დაცვას ▶

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. მაქვს ოცი წლის გამოცდილება. მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—6.—15)

◀ ახალი სისტემის უბის ▶

## 1910 წლის კალენდარი

იბეჭდება და მალე გამოვა შედგენილი კ. გულიაშვილისა. (2—973—1)

## გლეხი-კაცის ისტორია

◀ მიიღება ხელის მოწერა გლეხი-კაცის ისტორიაზე ▶

ცნობილი თხზულება ერკმან-შატრიანისა. სრული თარგმანი ფრანგულიდან ივ. მაჭავარიანის მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ ერთი მანეთი.

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი"-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების" და „მომავლის" ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე ვასილ გადილია.

(20—7)

ტ.-ქ. საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 13-ს დეკემბერს, სამეურნეო ბანკში დანიშნულია

## საზოგადო კრების

გაგრძელება

განსახილველი საგნები:

1. 1908 წ. ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.
4. მიღება საზოგადოების ახალი წევრებისა.

კრება დაიწყება 11 საათზე. (3—3)

გადათარგმნილია და მზადდება დასაბეჭდად,

● მიულერის წიგნი ●

## „ჩემი სისტემა"

ვარჯიშობის ტაბულით.

ფასი 50 კაპეიკი.

თარგ. სტ. პ. ქავთარაძისი.

(1—ფ.—1)

სხვაგან წასვლის გამო შემთხვევით

—✦ ი ყ ი დ ე ბ ა ✦—

## ღვინის და გაკალეინის დუქანი

ალექსანდროვსკის ქუჩა, კუთხე კიროჩნისა. (2—574—1)

## ივანე იაკობის ძე დოლგოლენკო

გადავიდა საცხოვრებლად ქალაქ გორში, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი № 10. კისრულობს საწარმოებლად სამოქალაქო, სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს, აგრეთვე საქმეებს საგლეხო დაწესებულებებში. (3—972—1)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—129)


## ტფილისი, 13 დეკემბერი

„მომავალი" (№ 89) კვლავ უბრუნდება ტ.-ქ. საზოგადოების გამგეობისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხს. გაზეთი იმავ ბ-ნ გალიორკას პირით ამბობს: „გამგეობა თავისი ანგარიშებით დღემდის გვარწმუნებდა, რომ „საზოგადოების" ყველა ქონებები უზრუნველყოფილია და არაფერიც არ აკლიაო. რით დასრულდა გამგეობის ეს რწმუნება? იმით, რომ გაფლანგული აღმოჩნდა 6,429 მანეთიო". როგორც ხედავთ, „მომავალი" ისე აჩვენებს თავის მკითხველს საქმის ვითარებას, თითქოს ეხლანდელ გამგეობას ჩაედინოს რაღაც არა წესიერი საქციელი: ხალხს არწმუნებდა, ყოველივე უზრუნველყოფილიაო, ნამდვილად კი „საზოგადოება" რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი მიაყენაო. ზემოდ-მოყვანილ ციტატიდან სწორედ ეს აზრი გამომდინარეობს.

„მომავალი" ჰგრძნობს თავის უხერხულ პოზიციას—„ახალმა" გამგეობამ აღმოაჩინა ბოროტმოქმედება და მასვე სვამს დამნაშავის სკამზე. და ამ უხერხულობის გასაქარწყლებლად განაგრძობს ამგვარად: „ერთი მითხარით, რომელია ეს ახალი გამგეობა? დღევანდელი? მარა მასში ხომ ისეთებიც ურევია, რომლებიც, ვგონებ, „საზოგადოების დაარსებიდანვე გამგეობის წევრად არიანო". ამრიგად, ეხლანდელ გამგეობის დანაშაულობა მტკიცდება თურმე იმ გარემოებით, რომ მის წევრთა შორის არიან ისეთი პირნი, რომელნიც ძველ გამგეობებში მსახურებდნენ. თუ საქმე მაგრეა და თუ „მომავალს" ჰგონია, რომ სწორედ ამ „ძველ" წევრებისაგან წარმოსდგება ყოველივე ბოროტება, მაშინ საბუთები უნდა მოიყვანოს ამ კერძო პირების დანაშაულობის შესახებ და მთელ კოლეგიას კი ჩირქს აღარ სცხებდეს. მაგრამ გაზეთს ამგვარი საბუთი არ მოჰყავს და ძველ „წევრების" დანაშაულობის დამტკიცების საჭიროებას არა ჰგრძნობს. ან კი რად უნდა დამტკიცება, როდესაც იგი ძველი წევრების დაუმტკიცებელ დანაშაულობიდან ასე ადვილად სკუპდება მთელ ეხლანდელ გამგეობის დანაშაულობის ბრალდებაზე. გაზეთი ამბობს: „ეს გამგეობა (?) ხომ მთელი რიგი წლების განმავლობაში განაგებს საქმეებს და ქურდობა კი მხოლოდ ამ წლის 9 აპრილს აღმოაჩინაო". ასე რომ ის გარემოება, რომ გამგეობაში რამდენიმე ძველი წევრია, საკმარისია გაზეთისათვის, რომ სთქვას—ეხლანდელი გამგეობა მთელი რიგი წლების განმავლობაში განაგებს საქმეებსო. სწორედ რომ ვერ გაგვიგია, რატომ აბნელებს გაზეთი ამ მარტივ და გასაგებ საქმეს? მაგრამ „მომავალი" ვერც კი ჰგრძნობს, რომ „ფალსიფიკაციის" და ურიგობის ნიადაგზე სდგას და განაგრძობს: „ის ფაქტი, რომ მხოლოდ 9 აპრილს აღმოჩნდა გაფლანგული იმდენი ფული და თან ის გარემოებაც, რომ ეს ფულები დაკარგულია სწორეთ იმ წლებში, როცა გამგეობა (რომელი?) თავის ანგარიშებით გვარწმუნებდა—კაპეიკი არ გვაკლიაო, არის თუ არა ანგარიშ გასაწევი, რომ წევრებს შიში აღეძრათ—ვაი თუ სხვა ქონებასაც ასეთი დღე ადგია და მის შემოწმება მოისურვოსო"?

როგორც ჰხედავთ, აქ სიყალბე უკვე უტყუარ ჭეშმარიტებად ხდება. გამგეობას სწორედ მაშინ ჩაუდენია ავაზაკობა, როდესაც თურმე საზოგადოებას არწმუნებდა, წმინდა და უმწიკვლო ვარო. მოდით და რევიზიის საჭიროება უარჰყავითო.

ყველა ამას, რომ დააკვირდეთ, ადვილად დაინახავთ, რომ „მომავალი" არა თუ არ საზღვრავს სხვა და სხვა კოლეგიათა მოქმედებას და პასუხისმგებლობას, არამედ ამ სხვა და სხვა კოლეგიათა მოქმედებას ერთი კოლეგიის, დღევანდელ გამგეობის მოქმედებად გამოაქვს. ჩვენ გვგონია, რომ ეს შეუფერებელი და ყალბი პოზიციაა. ამით ჩვენ იმისი თქმა არ გვინდა, ვითომ წინანდელ გამგეობებს უნდა დაჰბრალდეს ქურდობა და ავაზაკობა. წინანდელი გამგეობები და მასთან ერთად საზოგადო კრებებიც დამნაშავენი არიან მხოლოდ იმაში, რომ „საზოგადოების" ორგანოს—გამგეობისათვის არავითარი ინსტრუქცია, არავითარი წესი მოქმედებისა შემუშავებული არა ჰქონდა. ეს დანაშაულობა ორგანიზაციის ნაკლულევანობის დანაშაულობაა. და ამ ორგანიზაციის ნაკლულევანების საქმეში პასუხის მგებელი უნდა იყვნენ არა მარტო ძველი გამგეობები, არამედ საზოგადო კრებებიც, რომელნიც ოცდა ათი წლის წინად შემუშავებულ წესდებას სჯერდებოდნენ და მასში არავითარი ცვლილება არ შეუტანიათ. ამ ცვლილების შეტანის ინიციატორად გამოვიდა ეხლანდელი გამგეობა, მან შეიმუშავა ახალი წესი გამგეობის ნაყოფიერ მოქმედებისათვის და ამ თავის მუშაობის დროს კონტროლის ნაკლულევანების საკითხსაც წააწყდა და ყველა ამის შედეგი იყო ეხლანდელ გამგეობის მიერ აღნიშნულ ბოროტ-მოქმედების აღმოჩენა, უმთ[illegible] სწორედ ამ დღეებს კი ეს გამგეობა სულ[illegible] დამნაშავის სკამზე.

მაგრამ საქმე აქ არა თავდება

„მომავალმა“ სიყალბით დაიწყო და ბოლომდე სდგას ამ სიყალბის ნიადაგზე. იგი ამტკიცებს, ვითომ გამგეობა ფ. გოგიჩაიშვილის პირით თვითვე ასაბუთებს წინადადებას რევიზიის საჭიროების შესახებ. დიაღ, სრული ჭეშმარიტებაა. გამგეობამ რევიზიის საქმე ჯერ ბოლომდე არ მიიყვანა. მან იკისრა და დაასრულა კიდევაც მაღაზიის და საწყობის რევიზია. ხოლო მას ჯერ დანარჩენ ქონების (ბიბლიოთეკა-მუზეუმის) რევიზია არ მოუხდენია. არ მოუხდენია იმიტომ, რომ ამ საქმისათვის შესაფერი შენობა არა აქვს. წიგნების გადმოლაგება პაწია ბინაში და მათი შემოწმება შეუძლებელია. და გამგეობა იმედს არა ჰკარგავს, რომ ამ საქმესაც მოაწესრიგებს, როცა ამისათვის შესაფერი პირობები ექნება. ასეთია გამგეობის სურვილი, სურვილი კანონიერი და დასაბუთებული. რა ითქმის ამის წინააღმდეგ? ბევრი რამ, თუ „მომავალის“ პოზიციაზე შევდგებით. ეს პოზიცია არის საქმის ვითარების ალნაში სიცრუის შეპარება და ამ სიცრუის საშუალებით თავის აზრის დაცვა.

სარევიზიო კომისიის შესახებ, რომელიც არსებობს გამგეობის გვერდით, „მომავალი“ ამბობს:

„სარევიზიო კომისიას ერთი კაპეიკიც რა არის ვერ აღმოუჩენია დაკარგული. მას მხოლოდ ის შეუნიშნავს, რომ მაღაზიას ერთი საერთო დავთარი აქვს... სარევიზიო კომისია ყველგან დავთარს ჰხედავს. ხოლო თუ ამ დავთარს ზონარს გავუყრით და ბეჭედი დავასვით, „საზოგადოების“ ქონება ქუდშიაო. მოდი და დაემყარე ასეთ სარ. კომისიის მოხსენებას. ასეთია საქმის ფაქტიური მხარე. არც საზოგადოებამ, არც სარ. კომისიამ არ იცის, რა მდგომარეობაშია „საზოგადოების“ ქონებაო“.

აქაც საქმე ისეა ნაჩვენები, ვითომ გამგეობის მიერ განზრახული ბიბლიოთეკა-მუზეუმის ქონების შემოწმება იმ სარევიზიო კომისიის შემწეობით უნდა მოხდეს, რომელმაც ასეთი გულის-წყრომა დაიმსახურა „მომავალის“ მიერ. საქმის ვითარება-კი გვაჩვენებს, რომ რაკი მაღაზიის და საწყობის რევიზია და შემოწმება თვით გამგეობამ იკისრა (არჩეულ კომისიის საშუალებით—ყიფშიძე, ფირცხალავა, გოგიჩაიშვილი), დანარჩენ ქონების შემოწმებასაც იგივე გამგეობა განაგრძობს ახლად დაარსებულ სპეციალურ ორგანოს საშუალებით. ეს ორგანოა—საისტორიო—საარქეოლოგიო სექცია, რომელიც, ინსტრუქციის მეორე მუხლის თანხმად, „შეადგენს და აწარმოებს წიგნებისა და ნივთების კატალოგს, რომლებიც ინახება საზოგადოების მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში. ამ გვარსავე პასუხისმგებელ საქმის გაძღოლას იკისრებენ გამგეობის სასკოლო და ადმინისტრატიული სექცია თავიანთ დარგებში. ხოლო შესაძლებელია ისიც, რომ „საზოგადოების“ ქონების შემოწმების საქმე გამგეობამ მიანდოს სხვა განსაკუთრებულ, ხოლო თავის წრიდან არჩეულ პირებს. ასე იქნება თუ ისე, გამგეობამ დაიწყო შემოწმების საქმე, გამგეობავე დაამთავრებს მას. და აქ არც სარევიზიო კომისიის უვარგისობაზეა საჭირო ლაპარაკი და არც იმის შესახებ, რომ რაკი სარევიზიო კომისიის კონტროლი თავის მიზანს ვერ აღწევს, კონტროლის საქმე თავის თავზე უნდა იდვას საზოგადო კრების მიერ არჩეულმა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც გამგეობის გარეშე იდგება. გამგეობა შემოწმების საქმეში ჩვეულებრივ სარევიზიო კომისიას არ ემყარება, იგი თვითონ კისრულობს კონტროლს. კონტროლის საქმე მან სინიდისიერად აღასრულა მაღაზია-საწყობის შემოწმების დროს და სრული იმედი გვაქვს, რომ ამავ საქმიანობას და უანგარობას დაგვანახვებს „საზოგადოების“ დანარჩენ ქონების შემოწმების დროსაც.

## ქართული ეროვნული მუზეუმი

ქართველმა ერმა ოცი საუკუნის გზა განვლო და მცირე ერთა სულიერ და გონებრივ კულტურის სალაროში თავისი მცირე წვლილი შეიტანა, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა დადგა ხანა ამ ერთა განახლებისა და აღორძინებისა, ბრმა ჩარხის უკუღმა ტრიალისა და ქართულ დაუდევრობის გამო ლამის სამუდამოდ ამოიშალოს კაცობრიობის ისტორიის წიგნიდან ის ერთი ფურცელი ქართველის შესახებ, რომელიც ესოდენ სისხლითა და ცეცხლით არის ჩაწერილი ჩვენი მამა-პაპებისა და წინაპრების მიერ. მთელი ნაღვაწლი და ნაამაგარი ქართველის სულიერ და გონებრივ შემოქმედებისა, მწვავე ალში გატარებული და ათას თაობის ოფლში ნაწრთობი, მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე იქმნა მოტანილი და ჩაბარდა ახალ-თაობასა და ახალ ძალებს იმ იმედით, რომ ისინი ძველს ახალს მიუმატებდნენ, გაზდიდნენ, დაამშვენებდნენ და გაამაგრებდნენ ეროვნულ კულტურის ტაძარს.

მაგრამ ისინიც მოტყუვდნენ და ჩვენც მოვტყუვდით.

სრული ერთი საუკუნე გადის, რაც მთელ განათლებულ ქვეყნის აგენტები დაუკითხავად დაძრწიან ჩვენს უპატრონო მამულში და დაუკითხავადვე გააქვთ უცხოეთში უკანასკნელი ნაშთები და ნანგრევები ჩვენი შემოქმედებისა და წარსულ დიდებისა, ჩვენი ნაშრომი და ნაამაგარი, ღვაწლი და ანდერძი ჩვენი წინაპრებისა. თვითეული ნაშთი, საქართველოდან გატანილი, ნაფლეთია ჩვენი ერის სულიერ სხეულისა, ერთი ჯამი სისხლია იმის ორგანიზმისა, ნაკვთია იმის ტანისა, ნაწილი მისი სულისა. მთელი საუკუნის განმავლობაში უცხოელნიც და შინაურნიც მახლობელნიც და შორეულნიც გულმოდგინეთ და შეგნებით ანგრევენ სულიერ ხიდს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის, სწყვეტენ საერთო ძაფს, შლიან ჩვენი კულტურის კვალს და უძირო ხრამს სთხრიან აწმყოსა და წარსულის შორის. სთხრიან და კარგად იციან, რასაც სჩადიან.

მოკვდა ძველი საბერძნეთი, როგორც სახელმწიფო; გადაშენდა ელინი, როგორც ერი, მაგრამ იგი მაინც ცოცხალია, როგორც ფსიხოლოგიური ერთეული და განსაზღვრული სულიერი არსება. ელინთა ლიტერატურამ, ქანდაკებამ და არქიტექტურამ სამუდამოდ იხსნეს ეს ერი სიკვდილისაგან და დაუმკვიდრეს მას საუკუნო ხსნება და უკვდავება. ცოცხალი და უკვდავია მხოლოდ, ის ერი, რომელმაც აღადგინა თავისი წარსული ცხოვრება, დაიხატა წარსული თავის წინაპართა შემოქმედებისა და მუნ იცნო თვისი ძალა და ჰპოვა იმედი მომავლისა.

გადაშენდა ძველი საბერძნეთი, მოისპო მძლავრი რომი, აღიგავნენ დედამიწის ზურგიდან ეგვიპტე, ასურეთი და ათასი მათი მსგავსი ერი და სახელმწიფო, მაგრამ გამჭრიახმა და შორსმხედველმა ევროპამ თითქმის სავსებით აღადგინა სურათი მათის ცხოვრებისა და თავის დედა-ქალაქების მუზეუმებში გააცოცხლა მათი სულიერი და გონებრივი სხეული. ინგლისელებმა თავიანთ ბრიტიშ-მუზეუმში გადაიტანეს უნჯი მოწამეთ ეგვიპტისა,—საუკუნო საიდუმლოებით მოცული სფინქსები,—თითქმის მთელი ფრონტონი პართენონისა, საუცხოვო კოლონადა კარნაკის ტაძრებისა და ქვასკნელით ამოთხრილი მუმიები რამზესისა და კლეო-პატრასი; ფრანგებმა და გერმანელებმა გადასთხარეს პერსეპოლისი (ძველი სუზა), ბაბილონი, ათინა, მესენი, კვიპროსი, ეტრუსკთა ქვეყანა, ასურეთი და სამხრეთ-ამერიკის უძველესს ქალაქთა ნანგრევები. ევროპა გაივსო ძველ ხალხთა კულტურის ნაშთებით და საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთი ნაჭერი მარმარილოსი, რომელსაც ფიდიასისა, ან სკოპასისა, ან პრაქსიტელის ხელი ატყვია, მილიონებად ფასობს, ერის სიამაყედ ხდება და ძალიან ხშირად დიპლომატიურ მოლაპარაკებასა და უსიამოვნებასაც იწვევს ხოლმე. ნაპოლეონი იტალიელებს სამხედრო კონტრიბუციის მაგივრად ძველ ძეგლებსა და სურათებს ართმევდა, პაპმა იულიოს მეორემ ომი გამოუცხადა ფლორენციას, ალყა შემოარტყა მას და ხარკად მოითხოვა მიქელ ანჯელო, რომელიც რომში უნდა წაეყვანა და აეძულებინა დაემთავრა უკვე დაწყებული ძეგლები და ეკლესიები; საფრანგეთის მეფეს ფრანსუა მეორეს ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკება ჰქონდა ლეონარდო და-ვინჩისა და ანდრეა დე-სარტოსთან, სცდილობდა მათ გადაყვანას საფრანგეთში და ბოლოს საქმე იმითი გათავდა, რომ სურვილი შეისრულა: თავის ფეხით ჩავიდა იტალიაში და წამოიყვანა ორი მხატვარი. ეხლაც, ჩვენს დროშიაც კი ცსა თუ ის დიპლომატია ხშირად ამაყობს მხოლოდ იმით, რომ მან აღმოსავლეთის რომელსამე სახელმწიფოს გამოსტყუა უფლება ძველ ნანგრევების გადათხრისა და ნაპოვნის გატანისა.

ყოველ ევროპიელს თავი მოაქვს უცხოელის წინაშე იმით, რომ იმის სამშობლოში მოიპოვება რომელიმე ვენერა სკოპასისა ან მირონისა, მადონა რაფაელისა ან მურილიოსი, პორტრეტი რემბრანდისა ან ვანდეიკისა, სურათი რუბენსისა ან სხვა გენიოსისა. იტალიაში, საბერძნეთში და სხვაგანაც არსებობს განსაკუთრებული კანონი, რომელიც უკრძალავს ხელოვნების ნაშთის გატანას მთავრობის ნება-დაურთველად. წრეულს ბელგიის ეხლა-ხან გარდაცვლილმა მეფემ ამერიკელებსა და ინგლისელებს მიჰყიდა თავისი პირადი საკუთრება—რამდენიმე სურათი ადგილობრივ მხატვრებისა,—და ამის გამო მთელი ბელგია ფეხზე ადგა, აყაყანდა, აღშფოთდა და მოხუცი მეფე თითქმის ქვეყნის მოღალატედ გამოვიდა. ნურავინ იფიქრებს, ვითომ ეროვნულ ხელოვნებას მარტო პატრიოტნი და არქეოლოგნი გამოჰქომაგებოდნენ. პირიქით, სხვებზე ხმამაღლა მდაბიო ხალხი ალაპარაკდა, მისმა სოციალისტ-დეპუტატებმა პარლამენტში შეკითხვაც კი შეიტანეს და საქვეყნოდ განაცხადეს თავიანთი გულის-წყრომა და აღშფოთება. ასე უფრთხილდებიან და უვლიან ევროპიელნი თავიანთ სულიერ საუნჯესა და ეროვნულ შემოქმედებას.

რას ვაკეთებთ ჩვენ? როგორ ვუფრთხილდებით და როგორ ვაგროვებთ ჩვენს კულტურულ სიმდიდრეს, მამა-პაპათა ნაამაგარსა და ნაოფლარს? სამწუხაროდ და სავალალოდ, ჩვენც ეგვიპტელებისა და ასურეველების ბედი მოგველის. თუ ვინმეს უნდა მათი წარსულისა და ისტორიის შესწავლა, პარიზს, ბერლინსა და ლონდონში უნდა წავიდეს; თუ მოინდომებს ვინმე ქართველ ერის ისტორიისა და ხელოვნების შესწავლას, ისევ უცხოეთს უნდა მიმართოს, ვინაიდან დიდი ნაწილი ჩვენი ხელოვნებისა უცხოეთშია გატანილი. თუ რამე დარჩა ჩვენში, ან უმნიშვნელოა, ან კიდევ ისეა გაბნეული, რომ იმათ ნახვას და დათვალიერებას უზარმაზარი დრო და საშუალება უნდა.

მას აქეთ, რაც ჩვენი ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა, ჩვენი ისტორიული ნაშთები ხელიდან გვეცლებოდა და გვეცლება. ყველაფერი მიაქვთ, რის წაღებაც კი შეიძლება, ზოგს ფულით, ზოგს ქურდულად და ზოგსაც ავაზაკურად. გაიხსენეთ რაოდენი საუნჯე გაიტანეს საქართველოდან ლევაშოვმა, ზუბრინსკიმ, უვაროვისამ და კიდევ ათასმა სხვამ. კულტურული ქურდობა ჩვენში ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, რომ თვითონ ჩვენ ხშირად ჩვენი პატივსაცემადაც კი მიგვაჩნია, როცა რომელიმე მოხეტიალე ავანტიურისტი ჩვენგან რაიმე ძვირფას განძს წაიღებს „სახსოვრად“, „სახსოვრად“ და ჩვენი სახელის „გასაცნობად“. თვალ-მარგალიტი და ძვირფასი ნივთი რომ აღარ იკმარეს, ჩუქურთმებსა და არქიტექტურის ნაშთებს მიჰყვეს ხელი. უვაროვისამ იმდენიც კი მოახერხა, რომ მოსკოვში გადაიტანა საფარის მონასტრის საუცხოვო ნაშთები—ნანგრევები კანკელისა, რომელსაც აღტაცებაში და განცვიფრებაში მოჰყავდა ყველაფრის მნახველი და ხელოვნურ ხაწარმოების დიდი მცოდნენი ბროსსე და დიუბუა. მაგრამ წაღებას ვიღა ჩივის! რაც დარჩა, ისიც გაათხრეს, გაატიალეს, წარყვნეს, მოსპეს და აღგავეს მათი ხსენება გულთა ჩვენთაგან, გაიხსენეთ თუნდ შესანიშნავი ფრესკული მხატვრობა და იმავე საფარისა მცხეთისა, ალავერდისა და ძრავალ სხვა მონასტრისა. სხვაგან ასეთ ნაშთს ისე უფრთხილდებიან როგორც თვალის კაკალს, ჩვენში კი ჩვენმა განმანათლებელმა მადლი დაგვდეს და გაჯითა და კირით წაგლისეს და წალესეს საუკეთესო ნიმუშები ჩვენი მხატვრობისა, ჩვენი სულიერ ავლადიდების და კულტურულ სიმდიდრისა. ნეტა რით სჯობდნენ ჩვენი კეთილისმყოფელნი იმ ჰუნებს, რომელთაც დაანგრიეს და დასწვეს დიდებული რომი და მისი დიდებული ნაშთები!

მაგრამ ყველაფერს სხვებს ნუ დავაბრალებთ და ჩვენს უბედურებაში ბრალი ჩვენც დავიდოთ. ჩვენ რომ ვცოდნოდა ფასი ჩვენის წარსულისა და გვქონოდა ცოტაოდენი უნარი ჩვენი უფლების დაცვისა, სხვებს არ გავათხრევინებდით და არ დავანებებდით არც საფარას, არც ახტალას, არც ბოდბეს და არც გატანილ სიმდიდრეს.

რაც წაიღეს, წავიდა და აღარ დაბრუნდება. თუ შნო და უნარი შეგვწევს, ის მაინც შევინარჩუნოთ რაც წაუღებელია, რაც დაგვრჩა და რაც ჯერ-ჯერობით ისევ ჩვენს ხელშია. ჯერ კიდევ გვიან არ არის, და თუ ერს ერობა უნდა, თუ კიდევ აქვს სურვილი და უნარი თავის თავის შენახვისა, ძალა სიცოცხლისა და ცოტაოდენი ენერგია, შეიძლება დარჩენილის შეგროვებაც, მისი შერჩენაც და პატრონობაც. შეგროვებას და შერჩენას კი უნდა ფული და მუზეუმი.

ვინ უნდა ააშენოს ეს მუზეუმი?

ისევ ჩვენ უნდა ავაშენოთ ჩვენის მცირე უნარითა და გამხდარი ჯიბით. სხვაგან ხაზინა ასეთ საქმეზე მილიონებს ხარჯავს, ჩვენ კი ჩვენვე დავიბეგროთ ჩვენი თავი და ერთი ეს დედაბოძიც შეუდგათ ჩვენს ეროვნულ კულტურას. მუზეუმს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, როგორც გიმნაზიას, რომელზედაც ერთ მილიონამდე დაიხარჯა, ან ქართულ თეატრს და რამდენიმე სკოლას. მისი მნიშვნელობა და სარგებლობა უხმო და უჩინარია, ვითარცა სარგებლობა თეატრისა, მხატვრობისა, მუსიკისა, ლიტერატურისა, სამშობლო ენისა და ყოველგვარ სულიერ შემოქმედებისა, მაგრამ იმისთვის, ვისაც კიდევ სწამს ჩვენი ეროვნულ სიცოცხლის უნარი და ჩვენი მომავალი, იგი ხილულიც არის, ასაწონიც და გასაზომიც.

ამ შენობის აგებაში მთელმა ერმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, განურჩევლად კლასისა და წოდებისა, იმერისა და ამერისა, მდიდარისა და ღარიბისა. მოთავეობა ამ საქმისა ისევ წ.-კ. საზოგადოებამ იკისრა და შეაგროვა 12000 მანეთამდე. სარევიზიო კომისიის აზრით, ამ თანხას შეიძლება მიემატოს ი. ჭავჭავაძის თანხა—15000 მ. წ.-კ. საზოგადოებას კიდევ აქვს რამდენიმე ხელუხლებელი და გასესხებული თანხა. მაგალითად: სტამბის თანხა (ფულად და წიგნებად) 6000 მ. და ზუბალაშვილისა (ზუბალაშვილების თანხმობით და იმ პირობით, რომ ამ ფულით აშენებულ ერთ დარბაზს დაერქვას შემომწირველის სახელი) 10,000 მან. ამრიგად საზოგადოებამ შეიძლება ეხლავე გამოიღოს 40-45 ათასი მანეთი. გარდა ამისა აუცილებლად საჭიროა აღებულ იქმნეს ოფიციალური ნებართვა რამდენიმე წლით შეწირულებათა შეგროვებისა მთელ კავკასიაში, რითაც ყოველ ქალაქს, ბანკს და სხვაგვარ დაწესებულებას საშუალება მიეცემა, განსაზღვრული თანხა გადასდოს ამ საქმისთვის. ოფიციალურად ამ საქმეს წ.-კ. საზოგადოების გამგეობა უნდა გაუძღვეს, ფაქტიურად კი მან უნდა მიიწვიოს და ჩარიოს ამ საქმეში თავად-აზნაურობაც, ბანკებიც და სხვანიც. ერთის სიტყვით, ამ საქმის ორგანიზაციას კარგი დრო და კარგი შრომა სჭირია, თუ წ.-კ. საზ—ის გამგეობამ მოახერხა და ყველგან გაშალა თვისი ქსელი, ყველას მისწვდა, ყველას ჩაუნერგა გულში და სულში სიყვარული ამ საქმისადმი და სურვილი მისის განხორციელებისა, ამ საქმესაც მოვერევით და შვიდ-რვა წელიწადში ბინას გავუჩენთ ერის უპატრონოდ დაფანტულსა და დაქსაქსულ სულიერ სიმდიდრეს. დროებით მუზეუმის გადატანა ი. ჭავჭავაძის სახლში და 12000 მანეთის დახარჯვა დიდი შეცდომა იქნება. დიდი ხანია ქართული გიმნაზია ეპატიჟება წ.-კ. საზ—ის მუზეუმსა და ბიბლიოთეკას. თუ საჭიროა სადმე დროებით გადატანა, ისევ გიმნაზიის უფასო და მშვენიერი შენობა სჯობია შორეულ და უპატრონო ჭავჭავაძისეულ სახლს.

მ. ჯდ—ლი.

## ნარკვევი

გაზ. „პეტერბურგსკია ვედომოსტ“-ში (№ 262) დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „საეკლესიო საქმეები საქართველოში“. მოგვყავს ეს წერილი:

ყოვლად სამღვდელო ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა, რომელიც საექსარხოსოს განაგებს, 1908 წელს სანთლის ქარხნის ზედამხედველად დანიშნა მღვდელი გძელიშვილი. სამღვდელოებამ აირჩია დეპუტაცია სამღვდელოების კრების თავმჯდომარის დეკანოზ რცხილაძის მეთაურობით და გაჰგზავნა ეპისკოპოსთან. სთხოვეს გრიგოლს გაეუქმებინა ზედამხედველის დანიშვნის განკარგულება, რადგან დანიშნული პირი არა კეთილსაიმედოაო. დეპუტაციამ მოითხოვა სხვა პირის დანიშვნა ამ თანამდებობაზე, მაგრამ ეპისკ. გრიგოლი თავმდებად დაუდგა გძელიშვილს, კეთილ-საიმედოდ სცნო იგი და ახალ არჩევნის მოხდენაზე უარი უთხრა დეპუტაციას.

ამ ჟამად მღვდელი გძელიშვილი გადაყენებულია 6820 მანეთის გაფლანგვისათვის. მღვდელ-მოქმედების ასრულებაც აკრძალული აქვს. სამღვდელოებას განზრახვა აქვს, სთხოვოს სინოდს, რომ გაფლანგულ ფულის ანაზღაურება დააკისროს ეპისკოპოს გრიგოლს, რომელმაც თავის-თავად დანიშნა ქარხნის ზედამხედველად მღვდელი გძელიშვილი.

სინოდის ობერ-პროკურორს გაეგზავნა საჩივარი ნ. დეკა ველოშინისასი, რომელიც ბრალსა სდებს ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის სტოლის უფროსს ვენეცკის ქრთამის აღებაში. ვენეცკის ქრთამი აუღია ველოშინის საქმეზე გაქორწინების შესახებ.

## სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

### გადასახადი.

11 დეკემბრის სხდომაზე სათათბირომ განაგრძო იმ კანონ-პროექტის განხილვა, რომელიც შეეხება სახელმწიფო გადასახადის გაწერას დაბა-ქალაქებში, სათათბირომ დაამთავრა მუხლ-მუხლად ამ კანონ-პროექტის განხილვა და მეორედ მიიღო იგი. აღსანიშნავია ერთი რამ: ამ კანონ-პროექტით რუსეთში—გადასახადის რაოდენობა განსაზღვრულია 6%-ით პოლონეთში-კი 10% ით. ზოგიერთი დეპუტატი რუსი ჩიოდა, დიდია ეს გადასახადი რუსეთისთვისაო, მაგრამ პოლონეთი არავის გახსენებია:

ამ კანონ-პროექტის განხილვამდე 38 დეპუტატმა წინადადება შეიტანა, შემუშავდეს კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ სახალხო სკოლების ინსპექტორად ქალებიც ინიშნებოდნენ (უმაღლეს სწავლა მიღებულნი).

### მოხელეების ჯამაგირის მომატება.

შემდეგ სათათბირომ განიხილა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონ-პროექტი საგუბერნიო და გუბერნატორის კანცელარიების მოხელეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. შარშან სათათბირომ სურვილი გამოსთქვა, შეიცვალოს საგუბერნიო გამგეობის შტატი და თანაც მოხელეებს ჯამაგირი მოემატოთ, სამინისტროს შტატების შესახებ არაფერი უფიქრია და ჯამაგირი კი მოუმატნია. ყოველ წლივ ხაზინიდან უნდა გადაიდოს 1,116000 მანეთი მეტი. სათათბიროს კომისიამ უარ-ჰყო პროექტი, მაგრამ როდესაც სტოლიპინმა სათათბიროში სიტყვა წარმოსთქვა, ოქტომბრისტებმა უკან დაიხიეს და პროექტი სულ მცირე ცვლილებით მიიღეს.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშთა სააგენტოსაგან)

12 დეკემბერი.

### სპარსეთი

**თეირანი.** ნეჯეფის მუშტეხიდებმა დეპეშით მოითხოვეს, სამღვდელოებას და სენატის დაწესებულებებს მეჯლისში ხუთი წარმომადგენელი უნდა ჰყავდესო. სომხები სამ დეპუტატის ყოლას თხოულობენ. მეჯლისმა დაადგინა, შეუდგეს სენატის წესდებების შედგენას.

### საზღვარ-გარედ

**ათინა.** სამხედრო მინისტრი სამინისტროდან გავიდა. სამხედრო მინისტრის თანამდებობას დროებით აასრულებს მინისტრ-პრეზიდენტი. დეპუტატთა პალატის სხდომები გადანახლდება.

**სენტ-ლუი.** გერრინგის ახლო (ილინოისის შტატი) ქვა-ნახშირის მაღაროებში გაზი აფეთქდა. ამის გამო მაღაროები ჩამოინგრა. ნანგრევებ ქვეშ 50 მუშა მოჰყვა. ჯერ-ჯერობით იპოვნეს 9 კაცის გვამი.

**ვაშინგტონი.** ამერიკის კონსული ბლიუფილდსიდან იტყობინება: რამის (ნიკარაგუა) ახლო შეტაკება მიუვიდათ ესტრადის და ზელაიის ჯარს. ორთავე მხარეს მოუკლეს 900 კაცი. დაიჭრა 2000 კაცი.

**ათინა.** ტყუილია ის ხმა, ვითომ აფიცრებს საიდუმლო კრება გამართოთ და გადაეწყვიტოთ, ღამე, მოულოდნელად თავს დასცემოდნენ ქალაქს.

**ბერლინი.** კალკუტიდან დეპეშით იტყობინებიან: ღამ-ღამობით ყაჩაღთა ბრბოები სოფლებს აწიოკებენ. ყაჩაღები კარგად არიან შეიარაღებულნი. ჰფიქრობენ, რომ ანარქისტები ყაჩაღობენ. სოფლელები ლიან შიშისაგან ...

**ტოკიო.** პარლამენტის სესია დაიწყო. პარლამენტის გახსნის იმპერატორის სეფე-სიტყვა წაიკითხეს. სეფე-სიტყვაში ნათქვამია, უცხო სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირი გვაქვს და აღმოსავლეთში მშვიდობიანობა დამყარებული

### რუსეთი

**სევასტოპოლი.** საზღვაო სამხედრო სასამართლომ გაარჩია მატროსის საქმე. ბრალდებოდა 1905 წ. შავი ზღვის ფლოტის აღელვებაში მონაწილეობის მიღება. სასამართლომ მატროსს 15 წლით კატორღა მიუსაჯა.

**პეტერბურგი** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ალექსეევი მართალში აძლევს გენერალ-იორ ნიკიფოროვს. ნიკიფოროვმა გაზეთებში დასწერა, ალექსეევმა თავის ამომრჩევლებს 500 მანეთი და 10,000 მანეთის ვექსელი გამოართვა და დაჰპირდა ნიკიფოროვის და თქვენ საქმეს სათათბიროს მოვახსენებო.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ უშედეგოდ დატოვა ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტის, ხრენოვის საკასაციო საჩივარი. ხრენოვს ბრალდებოდა ხაზინო არყის დუქანი გაძარცვა. სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ გაარჩია გედლიაჩინის საქმე. მას აბრალებდნენ, რომ გერმანიის აგენტს გააცნო რუსეთის მოსაზღვრე ჯარების მდგომარეობა და ზოგიერთ საიდუმლო ბრძანებაც გადასცაო. ამისთვის სამხედრო სასამართლომ $1^1/_2$ წლით ტუსაღად განყოფილება გადაუწყვიტა. სასამართლომ გედლია ხანის საქმე ხელმეორედ გასარჩევად გადასცა.

**პეტერბურგი.** ხოლერით გახდა 1, გარდაიცვალა 1, ავადაა 24 კაცი.

**იალტა.** დეკემბერში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი. ხოლერა ... და თან ისპობა. სულ სენის დაწყებიდან აქნობამდის ხოლერით ავად გახდა 48, გარდაიცვალა 34 კაცი.

## ქართული ენა

სათათბიროს მემარჯვენე პოლიტიკოსები საჯაროდ აღიარებენ, რომ რუსეთში მობინადრე უცხო ტომთა გარუსება მეტად ადვილი საქმეა მათთვის. ამნაირად ისინი ჩვენც გადაგვარებას გვიმზადებენ. დაუკვირდეთ მემარჯვენეთა გულის წადილს, ვეცადოთ გამოვარკვიოთ, თუ რამდენად საშიშარია იგი ჩვენთვის.

პირადად მე პირ-ქუშად და უიმედოდ არ შევცქერი ქართველი ერის მომავალს და იმის გადაგვარების სრულებით არ მეშინია. ქართული ენის შესწავლამ დამარწმუნა, რომ იგი საუცხოოდ მოგვარებულია უღრმეს და უმაღლეს აზრთა გამოსათქმელად. ეს იმას ჰნიშნავს, რომ ჩვენმა ერმა თავის ხანგრძლივ ისტორიის მსვლელობის დროს გამოავითარა სულიერი ძალები და უნარი ცხოვრების უღრმეს საკითხების მოსაკვლევად. ენა—უდიდესი იარაღია ადამიანის სულიერ ცხოვრების გამოსახატავად. თუ ენის სალაროში მოიძებნება შესაფერი სიტყვები და ცნებანი უდიდეს აზრთა გამოსათქმელად, სულ ერთია ქართველს ეს თავისი ენის ეს აზრები, თუ უცხოელი; ეს იმას ნიშნავს რომ ჩვენ ხელთ არის ძვირფასი საშუალება სულიერ ასპარეზზე ზრდა-განვითარებისა და პროგრესისათვის. თუ დღევანდელ ქართული ენა გაირყვნა და აირია უცხო ენისა და სკოლის გავლენის გამო, ეს გარემოება სულაც არ უნდა გვაფრთხობდეს და გვიკარგავდეს იმედს. დღევანდელი ჩვენი მწერლობის განხილვაც დაგვიმტკიცებს, რომ ახლაც გამოჩნდნენ ჩვენში წმინდა ნაკადულები, რომელნიც თანდათან სულ უფრო და უფრო

გაიზრდებიან და გამტკიცდებიან და ჩვენი მწერლობის ასპარეზს დასწმენდნენ და გაასუფთავებენ. საამისო იმედს გვაძლევს აგრეთვე ჩვენი ხალხური ენა, ცოცხალი და თავისებური, რომელიც ძალას შეჰმატებს და განაცხოველებს ჩვენ მწერლობას. ჩვენი საზოგადოების იმედდაკარგული და სნეული ნაწილიც ამ სახალხო ცხოვრების წყლით განიკურნება.

ხალხში ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ ჩვენი საზოგადოების განათლებული ნაწილი ხალხზე ბევრად უფრო გულ-გატეხილი და უიმედოა. მიზეზი—ხალხისაგან დაშორება—განკერძოებაა. ხალხში თავის დღეში ვერ შეხვდები ხანგრძლივად პირ-მოღუშულ და უგულოდ ცხოვრების შემყურე ადამიანთა სიმრავლეს.

გადაგვარება იმედ-გაცრუებული და სულით დაცემულ ხალხის ხვედრია, ჩვენ ხალხში კი ყველა ეს ჯერ-ჯერობით სრულებით არა სჩანს.

მემარჯვენენი გაბედულად გაიძახიან, რომ მათ ძალუძთ ჩვენი ენის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა. საბრალო უვიცნი! განა გონიერი და გამჭრიახი ადამიანი ასე განუსჯელად და ბრიყვულად აღიარებს, რომ მას შეუძლია იმ მოვლენის აღმოფხვრა, რომლის ზრდა-განვითარება და სიღრმე და სივრცე არ შეუსწავლია, მემარჯვენენი, რუსეთის სახელმწიფოს სიდიადით გატაცებულნი, რასაკვირველია, არაფრად გვაგდებენ და ჩვენი ენაც იმათ თვალში რაღაც უმნიშვნელო და უძლური ქიამლილია, რომლის გასრესა ერთობ ეადვილებათ. ხოლო მაგარი ის არის, რომ ენის სიძლიერე სახელმწიფოს სიგრძე-სიგანით და ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის რაოდენობით არ გაიზომება. ენის ღირსების საზომი შინაგანია, რომელსაც შესწავლა უნდა. მერე განა ქართული ენის შესწავლა ბნელეთის მოციქულებს მოუხერხდებათ? შესწავლა-დაფიქრების, დინჯ გამჭრიახობის ნაყოფია და რად ესაჭიროება ყველა ეს იმ ჯგუფს, რომელსაც მხოლოდ ძალადობა დაუსვამს თავისდა კერპად.

ცოცხლად მახსოვს ის დრო, როცა ქუთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდი და გავეცანი უმაღლეს კლასის მოწაფეს, დღეს პროფესორს ნიკო მარრს. პირველად იმან გაგვიღვიძა ჩვენ, მიაწაფეთა ერთ ჯგუფს, სამშობლო ენის შესწავლის სურვილი, რომელიც უფრო გაცხოველდა იმის გამო, რომ ჩვენი ენა მთავრობის მიერ დევნილი იყო. ნიჭიერი, მხნე და ცოცხალ თაოსნობის უნარით აღჭურვილი ჩვენი მასწავლებელი ნიკო მარრი, რომლის კეთილი გავლენა სამუდამოდ აღიბეჭდა ჩვენ სულსა და გულში, ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ რა სულიერ განძს წარმოადგენს ცხოვრების განკარგებისათვის მხნე და მოსიყვარულე ადამიანი.

ბევრმა წელმა განვლო მას აქეთ. როცა დღევანდელ დღეს უკვირდები, ნათლად ვხედავ, როგორ გაიზარდა ქართველ მკითხველთა და მწერალთა წრე, ძალად გარუსების პოლიტიკა უძლური გამოდგა. თუ დღემდის ასე იყო, შემდეგში რაღა უნდა გვაშინებდეს და გვიკარგავდეს ცხოველმყოფელ იმედს?

ი. ნაკაშიძე.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **წერა-კითხვის საზოგ. კრება.** დღეს, 13 დეკემბერს, ტფ. სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია წ.-კ. საზოგადოების კრების გაგრძელება.

✦ **სამღვდელოების კრება.** სოფლებიდან უკვე ჩამოვიდნენ სამღვდელოების დეპუტატები; დეპუტატთა კრება დაიწყება ხვალ, 14 დეკემბერს, კრებამ უნდა განიხილოს სანთლის ქარხნის ანგარიში, მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა, საკითხი საეპარქიო ქალთა სასწავლებელში მე-7 კლასის გახსნის შესახებ და სხვა. დეპუტატები აღძრავენ საკითხს აგრეთვე ტფ. სემინარიის შენობის შესახებ.

✦ **რკინის გზა ტფილისიდან კავკავამდე.** როგორც ვიცით, ლაპარაკია კავკავის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ. „ბაკუს“ სიტყვით, კავკავის რკინის გზის საზოგადოებას მთავრობისთვის მიუმართავს, კავკავის რკინის გზას ნუ გამოიყიდით და, სამაგიეროდ, ტფილისიდან კავკავამდე გზას გავიყვანთო.

✦ **პეტერსონის გამართლება.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, „კავკასიის შეკითხვის“ განხილვის დროს სათათბიროში პურიშკევიჩი, სხვათა შორის, შეეხო ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორის პეტერსონსაც, რომელმაც თავი შეურაცყოფილად იცნო—პურიშკევიჩმა ცილი დამწამაო, და უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა აღძრა პურიშკევიჩის სამართალში მიცემის შესახებ. მინისტრთა საბჭომ განიხილა ეს შუამდგომლობა და საჭიროდ სცნო საჩივარი არ აღიძრას. ამასთან მინისტრთა საბჭო, თანახმად ნამესტნიკის აზრისა, პეტერსონის მოქმედებაში ვერაფერი ცუდი ვერ დაინახა. ხელმწიფემ განიხილა მინისტრთა საბჭოს ჟურნალი, დაამტკიცა საბჭოს დადგენილება და მასთან კეთილ ინება და აღნიშნა, რომ პეტერსონის მოქმედება უმწიკვლოაო.

✦ **„საქართველოს მოამბე“.** დღეს გამოვა მორიგი ნომერი ყოველ-კვირეულ ჟურნალ „საქართველოს მოამბისა“. შემდეგის შინაარსით: მეთაური (პოლიტიკური მდგომარეობა): „ფრიდრიხ ჰალმიდან“, (ლექსი) თარ. შ. ამირეჯიბისა; „ჩვენი ბედი“—Baton-ისა; შინაური მიმოხილვა; „საგლეხო ბანკი“—ა. ყიფშიძისა; „ასპიროზის დახვრეტა—ნინო ნაკაშიძისა; „ამონაკვნესი“—ლექსი—ი. გრიშაშვილისა; „მევინეობისა და მევენახეობის კოოპერაციები“—სვ. ვახვახიშვილისა; „მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან“—ივ. ვართაგავასი; გარეშე ცნობა.

✦ **იარაღის აღმოჩენა.** ტფ. პოლიციას ცნობა მიუღია, რომ ბასეინის ქუჩაზე დიდ ენაგეთის მცხოვრებს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს ტიგიშვილს შეშის საწყობში იარაღი აქვს შენახულიო. პოლიციამ 12 დეკემბერს ალყა შემოარტყა და შეუდგა ძებნას. შეშაში აღმოჩნდა ერთი სხვილი „ხე, რომელიც გამოფუღრული გამოდგა და შიგ იდო 2 რევოლვერი და 34 პატრონა. დააპატიმრეს ნიკოლოზის ძმა 18 წლის ალექსანდრე, ტიგიშვილი, ზეინკალი.

✦ **პატივისცემა.** ტფ. ქალაქის თვით-მართველობის მოხელეებმა, ფერშლებმა, ქალაქის თავის მოადგილემ და გამგეობის წევრებმა, პატივისცეს ცენტრალურ სამკურნალოს ფერშალს ვ. ე. ყარსელიშვილს, რომელსაც 25 წელიწადი შეუსრულდა, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს. 80 კაცი შეიკრიბა ტფ. საარტისტო საზოგადოების დარბაზში. იუბილიარს ტაშის ცემით მიეგებნენ. სიტყვები უთხრეს ალ. ი. ხატისოვმა, ალ. მ. არგუთინსკიმ და სხვებმა. ვახშმის დროს მრავალი სადღეგრძელო წარმოითქვა.

✦ **სომხთა წარმომადგენელნი.** 11 დეკემბერს ტფ. სომხთა საეპარქიო სახლში კრება ჰქონდათ ტფილისის სომხთა დაწესებულებების წარმომადგენელთ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დაკრძალვაზე დასასწრებლად წარმომადგენლების ამოსარჩევად. კრებამ ტფ. ქალაქის სომხების წარმომადგენლებად აირჩია ერევნის ქალაქის თავი მელიქ-ალამაოოვი და ცენზორად ნამყოფი ბ-ნი ქიშიშევი.

✦ **დახურულ ეტლებით მიმოსვლა.** აქამდე ადმინისტრაციის განკარგულებით აკრძალული იყო დახურულ ეტლებში მიმოსვლა. ტფ. პოლიცმეისტერმა აცნობა პოლიციელებს, რომ ასეთი განკარგულება მოისპო და მგზავრებს შეუძლიათ დახურულ ეტლებით მიმოსვლა.

✦ **საბჭოს სხდომა.** ხვალ, 14 დეკემბერს, ტფ. ქალაქის საბჭოს განსახილველად წარედგინება 28 მიმდინარე საქმე. საბჭო განიხილავს, სხვათა შორის, გამგეობის მოხსენებას ქალთა უმაღლეს კურსების დახმარების (5000 მან) შესახებ.

✦ **მკვლელობა.** დეპეშათა სააგენტოს 11 დეკემბრის თარიღით თელავიდან ატყობინებენ: სოფელ კურდღელაურში ღამე პოლიციამ მოიმწყვდია ბოროტ-განზრახველები და წინადადება მისცა, დამორჩილებოდნენ. ბოროტ-განზრახველებმა სროლით გასცეს პასუხი და მოჰკლეს სტრაჟნიკი. სტრაჟნიკებმა თავის მხრით მოჰკლეს ერთი ბოროტგანზრახველი.

✦ **მკვლელობა.** გუშინ, 12 დეკემბერს, ვერაზე მოჰკლეს ბაღის „ფანტაზიის“ ერთი პატრონთაგანი მიხეილ მხითარიანცი. მოკლული დუშეთის ქუჩაზე თავის სახლიდან მიმავლებულა. ფიქრის გორასთან ვიღაცას ზურგში ორჯელ დაუხლია რევოლვერი და იქვე მოუკლავს მხითარიანცი. მკვლელები მიიმალნენ.

✦ **წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი.** ტფ. წ.ნ. ნინოს სასწავლებლის უფროსად დაინიშნა კნეინა რუსუდან მელიქიშვილისა, ქვრივი მარშლის თავ. დავით მელიქიშვილისა.

✦ **გამგეობის წევრის არჩევანი.** ტფ. ქალაქის გამგეობის წევრს ნიკ. პეტ. კოჩაევს უკვე გაუთავდა ვადა სამსახურისა. გამგეობის წევრის არჩევანი დაინიშნა ორშაბათს, 21 დეკემბრისათვის. კანდიდატად ისევ კოჩაევს ასახელებენ.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის მოხელეებს, შეუდგნენ ძებნას 17 წლის ყმაწვილის თელავის მაზრის სოფელ კალაურის მცხოვრების გიორგი ლევანისძის ნებუნიშვილისას, რომელიც ამ დღეებში სადღაც დაიკარგა. ნებუნიშვილი შეგირდად იყო გეურქ დედუკოვთან სახელოსნოში.

✦ 11 დეკემბერს პოლიციის მე-12 ნაწილში დააპატიმრეს კონსტანტინე ალმათეევი, რომელიც საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ქალაქის საბჭო.** 9 დეკემბერს მოხდა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რომელმაც ფეხზე დგომით პატივი სცა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ხსოვნას და დაადგინა: 10 დეკემბერს გადახდილ იქმნას პანაშვიდი საკათედრო ტაძარში განსვენებულის სულის მოსახსენებლად; გაეგზავნოს დიდს მთავარს ნიკოლოოზ მიხეილის ძეს სამძიმრის დეპეშა; დაევალოთ სახელმწიფო საბჭოს წევრს თავ. ა. მ. ერისთავს, პროფესორს ნ. ი. მარს, ნაფიც ვექილს ვ. ლ. გელოვანს და პოლკოვნიკს ვ. ი. იაშვილს იკისრონ ქალაქის წარმომადგენლობა ცხედრის დაკრძალვის დროს და ვერცხლის გვირგვინით შეამკონ განსვენებულის კუბო. ქალაქის გამგეობამ უკვე შეასრულა საბჭოს დადგენილება. ქალაქის გამგეობის გარდა, საკათედრო ტაძარში პანაშვიდები გადაიხადეს: მიხეილის სახელობის ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკმა და თავადაზნაურთა დეპუტატთა საკრებულომ.

✦ **დღესასწაულის გადადება.** როგორც გავიგეთ, ქალთა უფასო სკოლის უფროსის მ. ი. ტიმჩენკო-რუბანის ასულის საიუბილეო დღესასწაულის გადახდა გაზაფხულისათვის გადაიდო.

✦ **ქალაქის თავის დაბრუნება.** ქალაქის თავი დ. ა. ლორთქიფანიძე უკვე დაბრუნდა ტფილისიდან, სადაც ის იყო წასული ქალაქის საქმეების გამო.

✦ **ადგილის შეძენა.** თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს განუზრახავს ქართულ გიმნაზიის ახალ შენობის ეზოს გასაფართოებლად შეიძინოს ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოების ადგილი, ინჟენრის ქუჩაზე, სივრცით 1300 ოთხკუთხი საჟენი.

✦ **თავმჯდომარის წასვლა.** სადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარე ი. კ. იერემეევი პეტერბურგს წავიდა ბანკის საქმეების გამო.

# ᲘᲝᲡᲔᲑ ᲠᲐᲢᲘᲚᲘ

იოსებ ივანეს ძე რატილი, ჩამომავლობით ჩეხი, რომლის სურათიც დღევანდელ დამატებაშია მოთავსებული, დაიბადა ქალაქ პრაგაში 1840 წელს, სწავლა მიიღო მასწავლებელთა კოლეგიალურ ინსტიტუტში, პრაგაშივე. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი დანიშნეს პრაგის ქალაქის პირველ სასწავლებლის გამგედ. მუსიკის შესწავლა დაიწყო პატარაობიდანვე, მამის ოჯახში. მისი მამა მასწავლებლად იყო კოლეგიალურ ინსტიტუტში. ინსტიტუტში სწავლის დამთავრების შემდეგ, რატილმა უფრო მხნედ მოჰკიდა ხელი მუსიკის შესწავლას. სამოქალაქო სასწავლებელში ხუთი წელიწადი დაჰყო, შემდეგ ვენაში დაიწყო მეცადინეობა მუსიკის ერთ გამოჩენილ პროფესორთან.

პირველად რატილი მღეროდა საზღვარ-გარეთის სცენაზე, შემდეგ კი მიიწვიეს გელსინგფორსის სახაზინო თეატრში. 1878 წელს ტფ. სახაზინო თეატრის ანტრეპრენიორმა პალმმა რატილი ტფილისში მოიწვია. მას აქეთ რატილს აღარ მიუტოვებია ტფილისი და გამუდმებით აქა სცხოვრობს.

რატილი ტფილისში დაინტერესდა პატარა ერების სიმღერებით. ტფილისში ჩამოსვლისთანავე იგი შეუდგა ხალხურ სიმღერების ჩაწერას. ჯერ ისევ მომღერლად იყო თეატრში, რომ დაიწყო ქართულ და სომხურ სიმღერების ჩაწერა აშუღებისაგან. 1885 წელს ტფილისში შესდგა ქართული ხორო, რომლის მოთავედ და ორგანიზატორად რატილი მიიწვიეს. ამის შემდეგ უფრო მუყაითად შეუდგა ქართულ ხალხურ სიმღერის ნოტებზე გადაღებას.

ამ პირველ ქართულ ხოროს ჩვენში დიდი გავლენა ჰქონდა იმ მხრით, რომ სიმღერები გაავრცელა, ყველამ იცის, რა აღტაცებით მიეგება საზოგადოება ამ ხოროს დაარსებას. დღეს ყველამ იცის რატილის მიერ გადაღებული სიმღერები: „დღეს მერცხალი შემოფრინდა“, „წაიყვანეს თამარ ქალი“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, მადლი შენ გამჩენს ლამაზო“ და სხვა.

რატილმა დიდი ამაგი და შრომა დასდო ქართულ სახალხო სიმღერების აღორძინებას და უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული მუსიკის პირუთვნელი ისტორიკოსი მას მადლობით მოიხსენიებს.

ამ ჟამად იოსებ ივანეს ძე რატილი 70 წლის მოხუცია, მაგრამ ჯანი და გული ჯერ კიდევ ახალგაზრდული აქვს.

# ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

დიდის ვაი-ვაგლახისა და მეცადინეობის შემდეგ პირველ-დაწყებით სკოლებში ნება-დართულ იქმნა სამშობლო ენაზე სწავლება. რასაკვირველია, ეს საქმე ისე არ განხორციელდა, როგორც ხალხი თხოულობდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მცირედის უფლებითაც ჯეროვანად არა ვსარგებლობთ. სამშობლო ენაზე სწავლისათვის საჭიროა კარგი სახელმძღვანელოები, რაიცა ჩვენში მეტად ცოტაა და მასთან მრავალის ნაკლით. არა გვაქვს აგრეთვე თვალსაჩინო სწავლებისათვის და საუბრებისათვის სურათები ნამდვილის ჩვენის ცხოვრებიდან. ასეთის სურათების წყალობით ბავშვებს უფრო გაუადვილდებოდათ შესწავლა სხვა და სხვა საგნისა და შეთვისება საუბრისა.

რუსების სკოლებისთვის მშვენიერი სურათებია დახატული. არის, მაგალითად, სურათები: „ოთხი დრო წელიწადისა“, გამოცემა „ფენო“-სი. მაგრამ აქ თითქმის ყველა სურათზე რუსული ცხოვრებაა გამოხატული მაგალითად შემოდგომის სურათზე დახატულია ყანის ლეწვა. გამოხატულია მაგრამ ამ სურათზე-კი არა ლეწავენ, როგორც ჩვენშია, არამედ ცეხვენ, რაიცა ჩვენში იშვიათია და ისიც შემოდგომაზე. არის კიდევ სხვა სურათებიც, მაგალითად, „შეძლებული გლეხ-კაცის ოჯახი“. აქაც შინაარსი რუსის ცხოვრებიდან არის აღებული: დახატულნი არიან: რუსის გლეხები, კუდიანი ცხვრები, რუსული ღორები და სხ. ამ სურათებით სარგებლობა მეტად ძნელია პირველ ორ განყოფილებაში. სასურველია, ჩვენმა მხატვრებმა გამოცდილ მასწავლებლების დახმარებით დაჰხატონ ჩვენი ცხოვრების ნამდვილი სურათები და მით ხელი შეუწყონ სწავლა-განათლებას სამშობლო ენაზე.

გარდა ოთხი დროსი შეიძლება დაიხატოს სურათები საქართველოს სხვა და სხვა კუთხისა. მაგალითად: გურული თავის სახლით და ავლადიდებით ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი და ის მუშაობა, რასაც უფრო მისდევს გურული; იმერელი თავის ფართო ეზოთი, როგორ ჰხნავს და სთესავს მაღლობზე ან რითი. კახელი და ქართლელი და მათი ცხოვრება და სხვა. ყველა ეს თვალ საჩინო და აუარებელი მასალა სამაგალითოდ შესასწავლის ბავშვს სხვა და სხვა კუთხეს და კარგია საუბრებისთვისაც. იტყვიან ყველა ამას ფული უნდა და სად არისო. ეგეც უნდა ვიღონოთ. დაახატვინა სურათი ჩვენი ცხოვრებიდან მ. კორხანიძემ, მაგრამ იქ იმდენი რამეა ჩატანილი, რომ არა თუ ბავშვი, დიდიც ვერაფერს გაიგებს. ეს ნაკლი დამხატველმა უეჭველად თავიდან უნდა აიცდინოს: ნახატი გარკვეული უნდა იყოს.

სწავლის წინ სვლას აფერხებს აგრეთვე უქონლობა საბავშო წიგნების. საბავშვო წიგნები მეტად ცოტა მოგვეპოვება. სულ ცოტაა ორიგინალური ნაწარმოები, ისიც ზოგი ერთი საძაგელი გამოცემაა, სიფრიფანა ქაღალდზე დაბეჭდილი, ან და გამოცემული კრებულად. კრებულის წაკითხვა ბავშვებს არ უყვართ. მაგალითად: ე. გაბაშვილის მშვენიერი მოთხრობები კრებულად არის გამოცემული. ძალიან კარგი იქნება, ეს მშვენიერი ენით დაწერილი და ადვილად გასაგები მოთხრობები ორი ან სამი მოთხრობა ცალკე გამოიცეს. რიცხვი წიგნებისა იმატებს, ფასიც შეღავათიანი იქნება და ბავშვებიც სიამოვნებით წაიკითხავენ პატარ-პატარა წიგნაკებს. გარდა ამისა, ზოგიერთი უკვე გამოცემული წიგნი აღარ მოიპოვება, მაგალითად; „ჩემო შვინდა“. არაგვისპირელისა და სხვანი. საჭიროა ახლად გამოიცეს. თარგმანებიც ზოგი ვერ არის კარგი ენით ნათარგმნი, სურათები არა აქვს. შრიფტი წვრილია და ქაღალდზედაც საძაგელზეა დაბეჭდილი. ყველა ეს ნაკლი უნდა გასწორდეს.

პირველ-დაწყებით სკოლის რამდენმამე მასწავლებელმა განვიზრახეთ გადავსინჯოთ ყველა წლის ნომრები ჟურნალების „ჯეჯილისა“ და ნაკადულისა“, იმოვარჩიოთ საუკეთესო ორიგინალური და თარგმანი მოთხრობები და შევეცადოთ მათ გამოცემას (ავტორების ნება-რთვით). გვინდა როგორმე გამოვძებნოთ მცირედი თანხა გამოცემისთვის მაგრამ საჭიროა დახმარება. მივმართავ გამომცემლებს დაგვეხმარნენ ამ სასარგებლო საქმეში. საბავშო წიგნების გამოცემით გავამდიდრებთ საბავშო ლიტერატურას და შევაყვარებთ ბავშვებს ქართულ წიგნების კითხვას.

ა. ა.—შვილი

# ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

(ხმა იმერეთიდან)

რეაქციის დაწყებისავე ადგილობრივმა სახალხო სკოლების დირექციამ თავის გაწვრთნილ და გამოცდილ მოხელეთა დახმარებით მარჯვედ მოჰკიდა ხელი განმანათავისუფლებელ მოძრაობის დროს მოპოვებულ მცირე უფლების გაქარწყლებას—1881 წლის გეგმით სამშობლო ენის სწავლების მოსპობას და ... თან ჩუმად ძირის-თხრა დაუწყო თვი... 1881 ... თაისის ... სტრ... ფილებშივე მასწავლებელნი, წინააღ... დეგ 1881 წ. გეგმისა, არ ასწავლიდ... ნენ რუსულ ენას (წერა-კითხვას) ... სამღვთო სჯულს რუსულად.

ყველაზე უფრო სავალალო და სა... წუხარო ის არის, რომ ამგვარმა გამ... რუსებელმა პოლიტიკამ ქალაქის თვით... მმართველობის სკოლებშიაც მოახერ... გაძრომა. ქუთაისის ერთ-ერთ პირველ... დაწყებით სკოლაში უკვე დაუწყიათ მდგო... მარე სასწავლო წლიდან რუსულ ენა... სწავლება, გვიკვირს, რატომ თვით-მმ... რთველობის სათანადო ორგანომ არ მი... ქცია ამ გარემოებას ყურადღება.

ნუ თუ იმდენი მოქალაქობრივი სი... თამამე ვერ გამოგვიჩენია, რომ იმ სკ... ლაში მაინც, რომელსაც თვით-მმართვე... ლობა ინახავს თავის ხარჯით დავიცვა... თვით უმაღლეს მთავრობის მიერ დაკ... ნონებული გეგმა, თუ მეტის გავა... არ შეგვიძლიან?!

სამწუხარო მოვლენაა! მთელის პრო... გრესიულ რუსეთის ერობები ებრძოდნ... დირექციის პოლიტიკას და თავიანთ უფ... ლებებს მედგრად იცავდნენ. ისინი თხო... ულობდნენ თვით კანონის შეცვლას ... სკოლების სავსებით დასაკუთრებას, ხ... ლო ჩვენ დაჩაგ ქალაქის წარმომადგე... ლებს ისიც კი არ შესძლებიათ, რ... ნამესტნიკის მიერ მიღებული გეგ... დაიცვან და შემოპარულ პოლიტიკ... წინააღმდეგობა გაუწიონ!..

ილია ბახტაძე.

# ᲞᲠᲝᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ

თელავის და მასთან მთელი კახეთ... მცხოვრებთა დიდი ხნის სურვილი ას... ულდა. მთავრობამ ნება დართო გა... ხსნას თელავში ვაჟთა პროგიმნაზია სრ... ლის მთავრობის პროგიმნაზიის უფლ... ბებით. პროგიმნაზია შეინახება სწავლ... ფულიდამ (წელიწადში 80 მან.) ... დააკლდება, იმას შეავსებენ მაზრ... თავ.-აზნაურობა და ქალაქის თვით-მმა... თველობა თანასწორად. ამის შესა... ქაღალდები უკვე მიიღეს, როგო... თავ.-აზნაურთა წინამძღოლმა, ისე ... ლაქის მოურავმა.

პროგიმნაზია მომავალ იანვრი... გაიხსნება. მოსაწყობად თითქმის ყ... ლაფერი მზად არის და მოსწავლე... ხომ ჯერ ისევ ენკენისთვიდან ემზად... ბიან. ზაფხულშივე ასზე მეტი თხოვ... იქმნა მიღებული მშობლებისაგან, ებ... ნათ, ენკენისთვიდან დაიწყობოდა ს... ვლა, მაგრამ რადგან ამ დროსთვის ვ... მოესწრო, უმრავლესობამ თელავში... დაატრიალა თავიანთი შვილები პრ... გიმნაზიის მოლოდინში.

სწორედ ბედზე მოასწრო პროგიმ... ზიის ნებართვის მიღებამ. ქ-ნ ბაღდ... ვის კერძო სასწავლებელიც, სადაც ას... მეტი ქალვაჟი სწავლობდა, დაიკეტ... ბაღდოევის ავადმყოფობის გამო და ... ბავშვთა რიცხვს, რომელნიც პროგიმ... ზიას ელოდებიან, ორმოცზე მეტი ... ვში მიემატა. ქ-ნ ბაღდოევისას წი... დადება მიუცია თავის მოწყობილ სკ... ლის შენობიანად დათმობაზე, რაც უ... რო დააჩქარებს ამ საქმის განხორცი... ლებას.

იანვრიდან გაიხსნება საანბანო ... მეორე განყოფილება. მართალია, უ... გვიდა სამოსწავლო წლის 4 თ... მაგრამ, როგორცა ვთქვი, ყველა... ემზადებიან და ცოდნის და მიხედვ... მოხდება ბავშვების მიღება. მხოლ... საჭიროა ეხლავე განცხადებებისა ... სხვა საშუალებით ეცნოთ მცხოვრებ... და თხოვნების მიღებაც დაიწყონ, რ... იანვრიდან პირ და პირ მეცადინეობ... მიჰყონ ხელი.

დავიწყებული.

# ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

**პეტერბურგი.** როგორც უკვე იყ... „დროება“-ში მოხსენებული, ამ ხ... ნებში აქ გაიმართება ქართული სას... ლიერო კონცერტი, რომელსაც ა... რა ექნება, გააცნოს აქაურ საზოგ... დოებას ჩვენი საეკლესიო გალობ... სხვათა შორის, პროგრამაში მოთავს... ბული იქმნება პროფ. კლიმოვსკ... მიერ ნოტებზე გადაღებული იოან... ოქროპირის წირვის საეკლესიო საგ... ლობელი. ამ ჟამად ხსენებულ პრო... ფესორის კრებულიდან ქართველ სა...

გალობელს ასრულებს (წირვაზე) მოსკოვის მიძინების ხორო რუსეთში განთქმულ კოსტალსკის ლოტბარობით.

# რუსეთი და იაპონია

**რუდოლფ მარტინის წერილი.**

ამ დღეებში რუსულ გაზ. „რუსკოე სლოვო“-ში დაიბეჭდა ცნობილ გერმანელ ფინანსისტისა და პოლიტიკოსის—რუდოლფ მარტინის წერილი, რუსეთისა და იაპონიის განწყობილებაზე. მარტინი ამ წერილში იმეორებს იმავე აზრს, რომელიც მან გამოსთქვა 4 წლის წინად გამოცემულ წიგნში („რუსეთისა და იაპონიის მომავალი“), და ამტკიცებს, რომ ამ მოკლე მომავალში რუსეთსა და იაპონიას შორის აუცილებლად მოხდება ახალი ომი. მარტინი ჰფიქრობს, რომ ეს ახალი ომი ხუთ წელიწადზე ადრე არ დაიწყებაო.

**რუსულ პრესის აზრი.**

რუსული პრესა დიდ ყურადღებას აქცევს შორეულ-აღმოსავლეთის საქმეებს. პრესის პროგრესიული ნაწილი აფრთხილებს და იაპონიასთან და ჩინეთთან მორიგებას ურჩევს რუსეთის მთავრობას, ხოლო შოვინისტური გაზეთები ისევ იმ კადნიერის კილოთი სწერენ იაპონიაზე, როგორც წარსულ ომის წინადა სწერდნენ.

„მოსკოვსკია ვედომოსტ“-ი დაჟინებით მოითხოვს, რომ რუსეთმა 300 ათასი ჯარის კაცი გაგზავნას შორეულ-აღმოსავლეთში და თან იცნებობს, რომ რუსის ჯარს შეუერთდებიან რამდენიმე ასი ათასი აჯანყებული კორეელი და ჩინეთის ჯარი, რომელიც გაილაშქრებს მანჯურიის განსათავისუფლებლად „მტაცებელ იაპონელთაგანო“. გაზეთი წინ და წინვე მკაცრ პროტესტს აცხადებს იაპონიის მიერ კორეის დასაკუთრების წინააღმდეგ, რადგან მის აზრით „კორეის ანექსია დაჰმარხავს რუსეთის მომავალს შორეულ-აღმოსავლეთში“.

„ნოვოე ვრემია“, „სვეტი“ და სხვა ამგვარივე შოვინისტური გაზეთები მოითხოვენ აგრეთვე, რომ რუსეთმა მრავალი ჯარი გაგზავნოს შორეულ-აღმოსავლეთში და იაპონიას საკადრისი პასუხი გასცეს. ბ. მენშიკოვი ოხოულობს, რომ რუსეთი რიგზე მოემზადოს და „გმირულად დაიცვას თავისი სამფლობელო იაპონელთაგან“.

**საუბარი გრაფ ოლსუფიევთან.**

რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრს მემარჯვენეს გრაფ ოლსუფიევს უთქვამს „რეჩი“-ის თანამშრომლისთვის:

— თუ იაპონიის გაჩქარებული სამზადისი მზადება მართალი ამბავია და მეგაზეთების მიერ არ არის მოჭორებული, მგონია, რომ იაპონია კორეის დასაკუთრებისთვის ემზადება.

— რა პასუხი უნდა გასცეს მაშინ რუსეთმა?

— რუსეთი რომ მზად იყოს ომისთვის, ჩემის აზრით, მას პასუხად ჩრდილოეთი მანჯურია უნდა დაესაკუთრებინა. მაგრამ ეხლანდელ პირობებში, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, ისეთივე პასუხი გავცეთ იაპონიას, როგორიც ავსტრიას გავეცით, როცა მან ბოსნია-ჰერცოგოვინა დაისაკუთრა, ე. ი. უნდა პირ-უხმოდ დავთანხმდეთ კორეის ანექსიას...

**ინგლის-გერმანიის მოლაპარაკება**

ბერლინელ პოლიტიკოსთა წრეები დიდის ინტერესით ადევნებენ ყურს მოლაპარაკებას, რომელიც ამ ჟამად გაიმართა იმპერატორ ვილჰელმსა და ინგლისის მეფის გულითად მეგობრის —ერნესტ კასელს შორის. 5 დეკემბერს კასელი და ვილჰელმის მეგობარი ბაიენი ვილჰელმთან იყვნენ მიწვეულები საუზმეზე და გვიან ღამემდე დარჩნენ პოტსდამის სასახლეში. ამბობენ, მოლაპარაკება გამართულია ბაღდადის რკინის გზაზე, ინგლის-გერმანიის დაახლოვებასა და შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა საშიშ მდგომარეობაზეო; კასელმა ორი გრძელი შიფრიანი დეპეშა გაუგზავნა პირდაპირ ედუარდ მეფეს. დიპლომატები ჰფიქრობენ, რომ ინგლისი ცდილობს რუსეთის და იაპონიის უომრად მორიგებას და უნდა, რომ გერმანიამაც ხელი შეუწყოს ამ მორიგებასო. მცოდნე დიპლომატებს ეჭვი აქვთ, რომ კასელი გახდეს რასმეს ამ საქმეში. („რ. ს.“)

**იაპონიის მთავრობის განცხადება**

ლონდონში ამბავი მისულა: იაპონიის მთავრობამ შეატყობინა რუსეთის გარეშე სამინისტროს, რომ იაპონია მხოლოდ კორეის დასამშვიდებლად ამზადებს ჯარსაო. („კ.“)

**ჩინელ მამულიშვილების მანიფესტი.**

რუსულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: „ჩინელ მამულიშვილების კავშირმა, რომელიც წარსულ ნოემბერში დაარსდა და სახელად დაირქვა „განუყოფელ ჩინეთის კავშირი“, გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც აწერილია კავშირის პროგრამა. მანიფესტი მოითხოვს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნების დროს, ხალხმა დაავალოს თავის წარმომადგენლებს, რომ მათ პირდაპირ, მოურიდებლად გამოუცხადონ ყველა სახელმწიფოს, რომ ჩინეთის იმპერია განუყოფელი და ხელუხლებელი უნდა იყოს და რომ ყველა სახელმწიფომ ამ მოკლე ხანში უთუოდ უნდა დაუბრუნოს ჩინეთს მისგან წართმეული ადგილები. მანიფესტში ბევრი რამაა ნათქვამი მდინარე ამურისა და მის ტოტებზე მდებარე ადგილების შესახებ, რომლებიც ძველიდანვე ჩინეთს ეკუთვნოდნენ და ამ ჟამად რუსეთს უჭირავს; ამასთანავე დაწვრილებითაა აწერილი, თუ 1900 წელს, ბლაგოვეშჩენსკს ახლო, მდინარე ამურში როგორ დაახრჩვეს რუსებმა მშვიდობიანი, უიარაღო ჩინელები“. („რ.“)

# მოწერილი ამბები

**ხონი** როდესაც აქ დაარსდა წ.-კ. გამავ. საზოგადოების განყოფილება, საზოგადოებაში ითვლებოდა სულ 31 წევრი. გავიდა მას შემდეგ თითქმის ერთი წელიწადი და არც ერთი წევრი არ შემატებია. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია განყოფილების გამგეობამ და მოიწვია წერილობით თეატრის დარბაზში ყველა ისინი, რომელნიც წევრებად არ ითვლებოდნენ და სთხოვა ჩაწერა. ეს მოხდა 6 დეკემბერს. კრების დასაწყისს ბ-ნმა ალ. ჭიჭი—ძემ წარმოსთქვა სიტყვა. მან მოიყვანა მაგალითები იმ ერების ცხოვრებიდან, რომელნიც სწავლა-განათლების საქმეში დიდ მეუყაითობას იჩენენ. ამ სიტყვამ გავლენა იქონია და საზოგადოებაში 56 ახალი წევრი ჩაეწერა. ზოგმა ფული წინდაწინვე შეიტანა, ზოგიც საზოგადო კრებამდე შეჰპირდა ფულის მიცემას. ამ 56 წევრს დაამტკიცებს საზოგადო კრება წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებისა, რომელიც მოხდება იანვარში. ბევრი ახალი წევრი შეჰპირდა, რომ კიდევ გიშოვნით წევრებსაო.

როგორც გავიგე, განყოფილება თავის სასარგებლოდ 27 დეკემბერს მართავს საღამოს. საჭიროა და სასურველიც საღამოს მეტი ლიტერატურული ელფერი ჰქონდეს. მარტო საცეკვაო საღამო რომ გამართონ, ამით ხალხს ვერ მიიზიდავენ. შეგნებულ დემოკრატიულ ნაწილს უფრო გონებრივი საზრდო უნდა.

სამოსწავლებლო სემინარიის მოწაფენი 21 და 22 დეკემბერს სდგავენ წარმოდგენებს. პირველ დღეს წარმოადგენენ ქართულად ნ. აზიანის „ფულსა და ხარისხს“, მეორე დღეს—რუსულ პიესას. წაიკითხავენ აგრეთვე რუსულ-ქართულ ლექსებს. იქნება ხორო და სხვა.

ხონელი ვაჭრები ჩამორჩენილნი არიან სხვა მხრის ვაჭრებს. ესენი არავითარ კულტურულ დაწესებულებაში მონაწილეობას არ იღებენ და არც არავითარ კულტურულ დაწესებულებას ნივთიერ დახმარებას არ უწევენ. ერთი ფარა რაა, იმითაც არ დახმარებიან ადგილობრივ თეატრს და სამკითხველოს. პირ-იქით დახმარების მაგიერ ათასგვარ ჭორებს თხზავენ დაავრცელებენ მათ შესახებ. სასურველია, ვაჭრებმა ერთი კეთილი საქმე მაინც მოიქმედონ და მოაწყონ ის, რაც ტფილისელმა ვაჭრებმა მოაწყეს. ეს გახლავსთ ერთი დღის ნავაჭრიდან მცირე პროცენტის გადადება წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ. იმედი გვაქვს, ხონელი ვაჭრები ამაზე უარს არ იტყვიან.

**ვინმე ქართველი.**

# სასამართლო

**ცხოვრების მსხვერპლი.**

10 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლოში საყურადღებო საქმე გაირჩა. ბრალდებულის სკამზე იჯდა ახალგაზდა ქალი მ. გ—ნოვისა. გ—ნოვისა მოკლებული იყო ცხოვრების ყოველსავე სახსარს, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტად მშრომელი ადამიანი იყო და დღიურად მუშაობდა სხვა და სხვა სახელოსნოში. თავის სილამაზით იგი ყურადღებას იპყრობდა და აკი არც ასვენებდნენ ყმაწვილი კაცები. ყველას უარს ეუბნებოდა, ახლოს არ იკარებდა და განაგრძობდა მუშაობას. მაგრამ სუსტია ქალის გული. მას გაეცნო ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც ოქროს ზოდებს ჰპირდებოდა, ოღონდ მისი თანაგრძნობა მოეპოვებინა, საკვდილამდე მას შეუღლებოდა. გულუბრყვილო ახალგაზდა ქალმა დაიჯერა ყველაფერი და მას დაუმონა თავისი სული, თავისი სხეული. თავის მხრივ ყმაწვილი კაციც შეტრფოდა, შეჰხაროდა, მაგრამ რაღაც ცბიერება, დაცინვა გამოიხატებოდა იმის მოქმედებაში. ქალი გრძნობდა ამას, უნდოდა ეჭვები გაეფანტნა, არ დაეჯერებინა მისი სიყალბე, მაგრამ მალე მწარე სინამდვილემ თვალები აუხილა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სატრფომ გ—ნოვისას თავი მიანება, გაქრა, უცბად, ქალმა ვეღარ გაიგო იმისი ვერც ასავალი, ვერც დასავალი. საბრალოს, თუმც შრომის უნარი ჯერ არ დაჰკარგოდა, მაგრამ რა უნდა ექნა: დღეს თუ ხვალ მეორე არსება უნდა მიმატებოდა. მაშინ... მაშინ რა უნდა ექნა?!

აქ კი მთლად შეიცვალა ბუნება ახალგაზდა ქალისა. აქამდის თუ იმის გულში მხოლოდ კეთილსა ჰქონდა ადგილი, ახლა ბოროტებამაც დაიბუდა. „შურის ძიება, შურის ძიება“! თავიდან აღარ შორდებოდა ქალს.

ქალს ერთი ნაცნობი ჰყავდა კ—ვი ამ ნაცნობს საუკეთესო მეგობრად რაცხდა და თავის გულის საიდუმლოება მას გაუმჟღავნა. თანაც ოთხ თუმანს დაჰპირდა: კ—ვს შური უნდა ეძიებინა და წუთი-სოფლისთვის გამოესალმებინა დამალული სატრფო, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ეს „მეგობარი“ აგენტი გამოდგა მაძიებელ პოლიციისა და, როგორც ამ ხელობის კაცს შეეფერება, კ—ვმა ყველაფერი პოლიციას აცნობა. გ—ნოვისა ჯერ დააპატიმრეს და მერე ბრალდებულის სკამზე დასვეს. აბრალებდნენ მკვლელობის განზრახვას.

აი, ეს საქმე გაარჩია ტფ. ოლქის სასამართლომ ათ დეკემბერს.

ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ტურკევიჩი. ვექილმა თავის სიტყვაში ცოცხლად დაასურათა ქალის სულის მდგომარეობა და ითხოვა მისი გამართლება.

სასამართლომ გ—ვისა გაამართლა.

# წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ ნება დამრთოთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ქვათახევის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტს იონას, რომელმაც კეთილი ინება და ჩემდამო რწმუნებულ წინარეხის სკოლის შენობის შესაკეთებლად მონასტრის ტყიდან დაგვითმო საჭირო მასალა )22 ხე); აგრეთვე ყველა ოსტატებს, რომელთაც პუქთად იმუშავეს შენობაზე და საზოგადოდ ყველას, ვინც მუშაობით თუ სხვანაირად ხელი შემიწყო, რომელთა მეოხებითაც თითქმის ოც-და-ათი თუმნის საქმე სამ თუმან ნახევრად გაკეთდა.

მასწავლებელი **ვ. გიუნაშვილი.**

—

პატივცემულო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ვარლამ დავითის ძე ძიძიგურს, რომელმაც თავის გამგეობით წარმოდგენა გამართა სოფ. კულაში (ქუთ. მაზ.) წერა-კითხვის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ. უმთავრესი როლი („არსენაში“—არსენა) ბ-ნ ვარლამმა ითამაშა; სცენის მოწყობა, ნებართვის აღება და სხვაც მან იდვა თავს. წმინდა შემოსავალი იყო 21 მან. 89 კაპ:, რაც ბ-ნმა ვარლამმა სამკითხველოს სასარგებლოდ გადმოგვცა. მადლობის ღირსნი არიან ისინიც, ვინც ბ-ნ ძიძიგურს ეხმარებოდა.

სამკითხველოს გამგე კნ. **პელაგია მიქელაძისა.**


**ახლად გახსნილ** ლორის-მელიქოვ. ქ. № 6, ფოსტის მახლობლად ხრომოლიტოგრაფიაში

## „ამხ.-ბა ლევიტ და მესნიკ“

შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ სალიტოგრაფო საქმისა. ფასები ზომიერია. ყველაფერი კოხტად და კარგად კეთდება. სპეციალურად სადარბაზო ბარათები, ბლანკები, ანგარიშები. (12—გაჯ.—12)

**პირველი კერძო სამკურნალო**

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ჟ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბეპიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—235)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—23)

საყმაწვილო ახალი წიგნაკი

## „სიგრალული კარგია“

**ნატალია რ. გიგაურისა. ფასი 3 კაპ.**

იყიდება ტფ. წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში—მთავრიშვილის მაღაზიაში, გორში და მიხაილოვში მაისტროვის მაღაზიებში და სურამში—ხორავასთან, (4—ფ.—3)

**საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი**

## „ფ ო ნ ი“

გამოდის ქუთაისში 6 სექტემბრიდან, კვირაში ერთხელ.

**— ცალკე № ყველგან ერთ შაურად —**

წლის დამლევამდი 1 მან.

**ხელის მოწერა მიიღება წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.**

განცხადება—წინა გვერდზე პწკარი 10 კ. უკანასკნელზე—5 კ. რედაქციის ადრესი: Кутаисъ, Балахванская ул., д. N 37. Г Т. ГЕОРГАДЗЕ. (3—4)

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის**
**ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე**



## მათრახი

და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

## პრემიათ გაეგზავნება
## ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მან.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლად შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს, პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მან. 50 კაპ. დანარჩენი 2 მან. 50 კაპ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი, ბლიკვაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზემლეთელი, თურდოს-პირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიტნ', ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქაშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе. (10—ნ.—6)

## ნიკოლოზ ანტონის ძე საგაევი
## ქ. ბ ა თ ო მ შ ი.

რადგან ბათომის, ქუთაისის და მისივე მაზრის ბევრმა მცხოვრებმა არ იცის ჩემი სავაჭროს გადატანა ახლად აგებულ «პ ა ს ა ჟ შ ი», და ამასთან რადგან ბლომად მაქვს მოგროვილი დიდი ხნის საქონელი და აგრეთვე მიღებული მაქვს დიდ-მალი ახალი საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებისა, ამიტომ **გაიმართა ძლიერ გაიაფებული ბაზარი 7 ამა ქრისტეშობისთვიდან ვიდრე დამლევამდის.**

ფასები დაკლებული იქნება ჩვეულებრივზე **20-დან 60 პროცენტამდის** ყველა ქვემოჩამოთვლილ საქონლებზე: ყოველ-გვარი მუშეულობა, ფარფორის და ფაიანსის სერვიზი, ლამპეული ნავთისა და ელექტრონისა და მისი პრიბორები, ბრინჯეული, მელხიორის დანა-ჩანგლები, სპილენძეული, სამღვრები, ემალ-გადაკრული ჭურჭლეული და სამზარეულოს ყოველ-გვარი მოწყობილება—ფეჩქები, ქუხნები ნახშირისა, შეშის თუ ნავთისა, კლიონკები. ყოველ-ნაირი მებელი, სკამები, სარკეები, პირის საბანებლები, რკინის კრაოტები, მატრაცები და სხვა ბევრი ამგვარი საქონელი. იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება მობრძანდება და თვით დარწმუნდება, რომ მართლაც ძლიერ იაფი ფასებია დანიშნული საქონელზე. გაჭრობა ნაღდზეა და გადაწყვეტილი ფასიც საქონელზეა დაწერილი. (10—ფ.—3)

## ● საშობაო ბაზარი ხელ-ახლა გაიხსნა ●

ახალი და განმანათლებელი სათამაშოები და გასართობები იყიდება იაფად, მოსკოვის ფასებში. სასწავლებლებსა და დაწესებულებებს ღირებულ ფასზე 15% დააკლდებათ. პროვინციაში გაიგზავნება ფასდადებით. დამზადებულია მოსართავი შობისათვის ერთი მანეთიდან.

ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 23. მაღაზია „ბიჟუთერი იმიტასიონ“. (3—გაჯ.—3)



## I მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ I მანეთიდან
## ● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●

**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაჯ.—13)

THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK

## სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო-უგურული“ ქუთაისში.

## ● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—ნ.—12)



1897 წ.

## ✤ პროვოდნიკის ✤

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Р.Ф.З.Р. ПРОВОДНИКЪ РИГА Т.Т.

1888



1908 წ.

## ამხანაგობა
## რ ი გ ა შ ი

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

## ● მომავალ დღესასწაულებისთვის ●

**მ ი ღ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა შ ე მ დ ე გ ი ნ ი ვ თ ე ბ ი:**

შობის ხეებისთვის ასბესტის თოვლი, რომელიც არ იწვის.

## რეზინის სათამაშოები
## მხეცები, ტიკინები და ბურთები

დ ი დ-მ ა ლ ი უ ჯ რ ე ბ ი ა ნ ი ს უ ფ რ ე ბ ი

## იყიდება ცალობით და არშინობით.


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.